სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 ივნისი 2008 №140 (3364) ფასი 50 თეთრი

გერმანია კარგი მანქანაა: იქ მიდის, სადაც გზა ჩანს





ამერი დახვალეო

დავითნიძე, ქვაჩახია, ტატანაშვილი და სილაგავა წავიდნენ. მომსვლელი მალე მოვაო

ხვალ თბილისის „ამერი“ შეებულებას დაასრულებს და გუნდიც საახალსეზონოდ შეიკრიბება.

ამერელებს ჯერ ზუსტად არ გადაუწყვეტიათ, სად გაივლიან შეკრებას, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე მუშაობს და რამდენიმე ვარიანტს შორის საუკეთესოს დღე-დღეზე აარჩევს. იქამდე კი ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ვარჯიშსაც თბილისში დაიწყებენ.

ცოტა ამერულ მიდი-მოდიზეც ვთქვათ: დიმიტრი ტატანაშვილი ჩეხურ „პლზენში“ რომ გადავიდა, გეცოდინებათ. კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა მეკარე ზურაბ ქვაჩახიას და ის ალბათ ერთ-ერთ უზბეკურ გუნდში გადავა. „ამერიდან“ წავიდნენ ნახევარმცველი გიორგი სილაგავა და კაპიტანი გიორგი დავითნიძეც.

რაც შეეხება ნამატს: ოფიციალურად ჯერ არავინ მოსულა, თუმცა იმის თქმა კი შეგვიძლია, რომ „ამერს“ აზერბაიჯანული „სიმურგიდან“ დაუბრუნდა ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე და გადაწყვეტილია, რომ „ბორჯომიდან“ შეემატება მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი. უკვე თბილისში დაბრუნდნენ მცველი თენგიზ ჩიკვილაძე და ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე, რომლებიც უკრაინულ „ტავრიაში“ ისინჯებოდნენ, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

სხვა სიახლე ჯერჯერობით არაფერია, თუმცა კლუბში ამბობენ, ტრანსფერებზე ვმუშაობთ და უახლოეს დღეებში საინტერესო ამბების მოხდენას ნუ გამორიცხავთო...

ვნახოთ...

ძახა შალამბერიძე

ბათუმის ხავსი ჭიათურაა

ჯერ გავიგოთ, რომელ ლიგაში ვითამაშებთ...

ჭიათურის „მაღაროელის“ ნაცვლად უმაღლეს ლიგაში „ბათუმი“ ითამაშებსო, სულაც არ ყოფილა საფუძველს მოკლებული. „მაღაროელს“ ფინანსური პრობლემები აქვს და დიდი შანსია, მთელი წლის ნაწვალები წყალში ჩაეყაროს. ეს აჭარის ფეხბურთის ფედერაციის და „ბათუმის“ პრეზიდენტმა დავით თავართქილაძემაც გვითხრა...

— ჩვენ ლიცენზირება გავიარეთ და ველოდებით საკითხის გადაწყვეტას, დავრჩებით თუ არა უმაღლესში. თუ ჭიათურის „მაღაროელი“ უმაღლესში ვერ ითამაშებს, მაშინ მის ადგილს ჩვენ დავიკავებთ. ვნახოთ... ნოდარ ახალკაცს ველოდებით, როცა ის ჩამოვა საქართველოში, თბილისში ვესტუმრები და გავარკვევთ ყველაფერს.

— უმაღლეს ლიგაში თამაში ერთია, თუმცა „ბათუმს“ ბოლო წლებში ფინანსურად ძალიან უჭირდა. საინტერესოა, არის უკეთესობის იმედი?

— რადგან ლიცენზირება გავიარეთ, ესე იგი, არის. „ბათუმი“ მეტნაკლებად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ქალაქის მერიისგანაც ველოდებით დახმარებას, ასევე კერძო ბიზნესმენებიც გვეშველებიან. თუმცა მათი სახელ-გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

— ახალი სტადიონის მშენებლობაზე რა სიახლეა?

— ანგისაში, სადაც სპორტული სკოლა იყო, ორ-სამ წელიწადში 8-10-ათასიანი სტადიონი იქნება. მომავალ სეზონში კი ან ქობულეთში ვითამაშებთ, ან ბათუმშივე. ქობულეთის სტადიონი კერძო მფლობელობაშია, თუმც, კარგა ხანია, მეპატრონე საქართველოში არ იმყოფება და არის ლაპარაკი, რომ სახელმწიფოს გადაეცეს. იმედია, ასეც მოხდება და ქობულეთში ჩავატარებთ საშინაო მატჩებს.

— გუნდი როდის იკრიბება?

— 25 ივნისიდან დაიწყება ვარჯიშები.

— მწვრთნელი ისევ ავთანდილ კუნჭულია იქნება?

— ჯერ არ გადაწყვეტილა. გეცოდინებათ, „ბათუმიდან“ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა — გიორგი ჭელიძე, ზვიად სტურუა, კახა მახარაძე, გაგა ჩხეტიანი, ლაშა ქებაძე, შოთა ბაბუნაშვილი — და გუნდი თითქმის მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებით მოემზადება, თუმც მწვრთნელის საკითხიც და ფეხბურთელთა შემენაც იმის მიხედვით მოხდება, თუ რომელ ლიგაში ვითამაშებთ.

ილია ნანოგაშვილი

მახვილაძე ზაქათალაში მიდის

აზერბაიჯანულ „სიმურგს“ სავარაუდოდ, ერთი ქართველი შეემატება — მიხეილ მახვილაძე. რუსთავის „ოლიმპის“ აწ უკვე ყოფილ კაპიტანს კონტრაქტი დაუმთავრდა და „სიმურგიდან“ მიიღო წინადადება.

„ზაქათალელები ბაქოში იწყებენ ვარჯიშს და მითხრეს, ჩვენთან ჩამოდიო. გასინჯვაზე არაა ლაპარაკი, უბრალოდ, უნდა მოვილაპარაკოთ და იმედია, ყველაფერი შეთანხმებით დამთავრდება“ — გვითხრა მახვილაძემ.

შეხსენებისთვის, გასული სეზონის მეორე წრეში „სიმურგს“ ორი ქართველი ჰყავდა: კახა ჩხეტიანი და „ამერიდან“ განათხოვრებული დავით ბოლქვაძე. ჩხეტიანი კიდევ ერთი წლით რჩება „სიმურგში“ და თუ მახვილაძეც გადავა, ყოფილი ქუთაისის ტორპედოელები ერთად ითამაშებენ.

ილია ნანოგაშვილი

ილია კანდელაკი შტურმში მოინათლა

შაშიაშვილზე ისევ ტავრია ითქვა

ილია კანდელაკმა პირველი მატჩი ჩაატარა ავსტრიულ „შტურმში“. ის და გიორგი შაშიაშვილი მეორე ტაიმში შევიდნენ „ლეობენთან“ მატჩში — „შაში“ ცენტრალური მცველი გახლდათ, კანდელაკმა კი მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა. „შტურმმა“ 3:0 მოიგო.

ჯერჯერობით არაფერი ისმის გრაცულ გუნდში ლადო ბურდულის გადასვლაზე. არადა, შაშიაშვილმა გვითხრა, შესაძლოა, მალე ლადოც შემოგვიერთდესო.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, კვლავ არის შანსი, შაშიაშვილი სიმფეროპოლის „ტავრიაში“ გადავიდეს. „ტავრია“ შეკრების გავლას სწორედ ავსტრიაში გეგმავს და ამბობენ, გიორგიც იქ შეუერთდება გუნდსო...

ილია ნანოგაშვილი

გიორგი ლომაია: ისევ უცხოეთში

გიორგი ლომაიას კარიერაში კიდევ ერთხელ დადგა უკლუბობის პერიოდი. მართალია, რუსთავის „ოლიმპმა“ მას ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მეკარეს უცხოეთში სურს წასვლა. იქიდან კი წინადადებები ჯერ არ ჩანს.

„რუსთავში სეზონის ბოლომდე ვიყავი და ახლა წასვლა მინდა. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ: სირბილი, ტრენაჟორები... იმედია, რაღაც გამოჩნდება“ — გვითხრა ლომაიამ.

ილია ნანოგაშვილი

ლოკომოტივი ლუქსემბურგში

გაგანია ევროპის ჩემპიონატია და ინტერტოტოსთვის ვის სცხელა, მაგრამ...

ხვალ, ჩვენი დროით, 22 საათზე გიორგი კიკნაძის „ლოკომოტივი“ ლუქსემბურგულ „ეტცელას“ ხვდება პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში.

პატარა ქალაქ ეტელბრუკის „დაიჩის“ სტადიონზე შედგება ეს შეხვედრა, რომელშიც, ვინძლო, თბილისელებმა ეგრევე გადაწყვიტონ მომდევნო ეტაპზე გასულის ვინაობა — ცხადია, სათავისოდ. 28 ივნისს კი საპასუხო თამაშია თბილისში.

კიკნაძე და მისი რაზმი გუშინ გაემგზავრნენ ბენილუქსში და, იმედია, ხვალ საღამოს უკვე რუსულ „სატურნთან“ სათამაშოდ შეაქცევენ გონებას: „ეტცელა“ — „ლოკომოტივს“ შორის მოგებულს მეორე ეტაპზე სწორედ რუსები ელიან.

ილია ნანოგაშვილი

ინტერმსაჯები

ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივისა“ და ლუქსემბურგული „ეტცელას“ მატჩებს ლიტველი და ჩერნოგორიელი მსაჯები მოემსახურებიან.

პირველ შეხვედრას, რომელიც 21 ივნისს ეტელბრუკში გაიმართება, ლიტველები განსჯიან — არბიტრი გედიმინას მაჟეიკასია, ასისტენტები შაულიუს დირდა და სერგეის სლივა, მეოთხე მსაჯი კი ლუქსემბურგელი რომაინ სალესი იქნება.

საპასუხო მატჩი თბილისში 28 ივნისს გაიმართება და მას ჩერნოგორიელი პაველ რადოვანოვიჩი განსჯის, რომელსაც დეიან საკოვიჩი და ვესლინ რადუნოვიჩი დაეხმარებიან; მეოთხე მსაჯი კი ქართველი ლაშა სილაგავა იქნება.

ძახა შალამბერიძე

კვარაცხელიას 90

ბელარუსის ჩემპიონატის მე-11 ტურში გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპომ“ სოლიგორსკის „შახტიორს“ უმასპინძლა და 1:1 ეთამაშა.

ქართველი ფეხბურთელი შეუცვლელად გაისარჯა.

„მტზ-რიპოს“ 23 ქულა აქვს, მომდევნო შეხვედრას კი მინსკელები 28 ივნისს უშუალო კონკურენტ ბატე-სთან გამართავენ.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს ეროვნული გუნდი

№	თარიღი	ს	რ	მეტოქე	ანგ	მეგოლეები
1	02/09/92	ს	აშ	ლიტვა	0:1	
2	17/09/92	მ	აშ	უზერბაიჯანი	6:3	ყიზღილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
3	22/12/92	ს	აშ	კვიპროსი	0:1	
4	25/05/93	ს	აშ	უზერბაიჯანი	0:1	
5	08/02/94	ნ	სტ	სლოვენია	0:1	
6	10/02/94	ს	სტ	მალტა	1:0	ქცბაია
7	12/02/94	ნ	სტ	ტუნისი	2:0	ყაველაშვილი, ჟუდინოვი
8	23/02/94	ს	აშ	ისრაელი	0:2	
9	11/06/94	ს	აშ	ნიგერია	1:5	რ. არველაძე
10	26/06/94	ს	აშ	სუდანი	3:1	დ. ჯანაშია, ეაჭარავა, ჯამარაული
11	19/07/94	მ	აშ	მალტა	1:1	შ. არველაძე
12	07/09/94	მ	ერ	მოლდოვა	0:1	
13	12/10/94	ს	ერ	ბულგარეთი	0:2	
14	16/11/94	მ	ერ	უელსი	5:0	ქცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
15	14/12/94	ს	ერ	ალბანეთი	1:0	შ. არველაძე
16	29/03/95	მ	ერ	გერმანია	0:2	
17	26/04/95	მ	ერ	ალბანეთი	2:0	შ. არველაძე, ქცბაია
18	07/06/95	ს	ერ	უელსი	1:0	ქინქლაძე
19	06/09/95	ს	ერ	გერმანია	1:4	ქცბაია
20	11/10/95	მ	ერ	ბულგარეთი	2:1	შ. არველაძე, ქინქლაძე
21	15/11/95	ს	ერ	მოლდოვა	2:3	დ. ჯანაშია, ბულიბასა (ს.კ.)
22	27/03/96	ს	აშ	კვიპროსი	2:0	ქცბაია, ჯამარაული
23	24/04/96	ს	აშ	რუმინეთი	0:5	
24	08/05/96	ს	აშ	საბერძნეთი	1:2	გოგრიჭიანი
25	01/09/96	ს	აშ	ნორვეგია	0:1	
26	09/10/96	ს	მრ	იტალია	0:1	
27	09/11/96	მ	მრ	ინგლისი	0:2	
28	05/12/96	ს	აშ	ლიტანი	2:4	ა. იაშვილი, ყიანაძე
29	08/12/96	ს	აშ	ლიტანი	2:3	გახოკიძე, ცქიტიშვილი
30	30/03/97	მ	აშ	სომხეთი	7:0	შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
31	30/04/97	ს	მრ	ინგლისი	0:2	
32	07/06/97	მ	მრ	მოლდოვა	2:0	შ. არველაძე, ქინქლაძე
33	14/06/97	ს	მრ	პოლონეთი	1:4	შ. არველაძე
34	10/09/97	მ	მრ	იტალია	0:0	
35	24/09/97	ს	მრ	მოლდოვა	1:0	ქცბაია
36	11/10/97	მ	მრ	პოლონეთი	3:0	ა. არველაძე, ცხადაძე, ქცბაია
37	06/02/98	ნ	სტ	ლატვია	2:1	ჯამარაული 2
38	08/02/98	ნ	სტ	ალბანეთი	3:0	ქცბაია, ყაველაშვილი, ა. იაშვილი
39	10/02/98	ს	სტ	მალტა	3:1	ყაველაშვილი 2, ჯამარაული
40	02/05/98	ს	აშ	ტუნისი	1:1	ქინქლაძე
41	30/05/98	მ	აშ	რუსეთი	1:1	ზ. ჯანაშია
42	12/08/98	ს	აშ	უზერბაიჯანი	0:1	
43	19/08/98	ს	აშ	უკრაინა	0:4	
44	05/09/98	მ	ერ	ალბანეთი	1:0	ა. არველაძე
45	10/10/98	ს	ერ	ლატვია	0:1	
46	14/10/98	ს	ერ	საბერძნეთი	0:3	
47	18/11/98	მ	აშ	ესტონეთი	3:1	აშვეთია 2, დ. ჯანაშია
48	20/03/99	მ	აშ	უკრაინა	0:1	
49	27/03/99	მ	ერ	სლოვენია	1:1	ზ. ჯანაშია
50	28/04/99	მ	ერ	ნორვეგია	1:4	ზ. ჯანაშია
51	30/05/99	ს	ერ	ნორვეგია	0:1	
52	05/06/99	მ	ერ	საბერძნეთი	1:2	ქცბაია
53	04/09/99	ს	ერ	სლოვენია	1:2	შ. არველაძე
54	08/09/99	მ	ერ	ლატვია	2:2	შ. არველაძე, ყაველაშვილი
55	09/10/99	ს	ერ	ალბანეთი	1:2	შ. არველაძე
56	02/02/00	ნ	სტ	სლოვაკეთი	0:2	ქცბაია, ყაველაშვილი
57	04/02/00	ნ	სტ	რუმინეთი	1:1	ქცბაია (პენალტებით 2:4)
58	06/02/00	ნ	სტ	სომხეთი	2:1	ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
59	28/03/00	ს	აშ	ისრაელი	1:1	ქინქლაძე
60	26/04/00	ს	აშ	სომხეთი	0:0	
61	04/06/00	ს	აშ	უზერბაიჯანი	0:0	
62	11/06/00	ს	აშ	ესტონეთი	0:1	
63	16/08/00	ს	აშ	ირანი	1:2	ყაველაშვილი
64	07/10/00	ს	მრ	ლიტვა	4:0	ქცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
65	11/10/00	ს	მრ	იტალია	0:2	
66	14/02/01	მ	აშ	უკრაინა	0:0	
67	28/03/01	მ	მრ	რუმინეთი	0:2	
68	24/04/01	მ	აშ	ისრაელი	3:2	ქცბაია 2, ა. არველაძე
69	09/05/01	მ	აშ	უზერბაიჯანი	1:0	ირონანიძე
70	02/06/01	მ	მრ	იტალია	1:2	გახოკიძე
71	06/06/01	ს	მრ	უნგრეთი	1:4	კობიაშვილი
72	15/07/01	ს	აშ	ლუქსემბურგი	3:0	დემეტრაძე 2, ალექსიძე
73	01/09/01	მ	მრ	უნგრეთი	3:1	შ. არველაძე, ჯამარაული, ა. იაშვილი
74	05/09/01	მ	მრ	ლიტვა	2:0	ა. იაშვილი 2
75	06/10/01	ს	მრ	რუმინეთი	1:1	ა. იაშვილი
76	27/03/02	მ	აშ	ს. პეგრიკა	4:1	დემეტრაძე 2, კობიაშვილი, ალექსიძე
77	17/04/02	ს	აშ	უკრაინა	1:2	ბურდული
78	21/08/02	ს	აშ	თურქეთი	0:3	
79	08/09/02	ს	ერ	ბელგია	1:4	შ. არველაძე
80	12/02/03	მ	აშ	მოლდოვა	2:2	ჩალაძე, აშვეთია
81	29/03/03	მ	ერ	ირლანდია	1:2	კობიაშვილი
82	02/04/03	მ	ერ	ბელგია	0:0	
83	30/04/03	მ	ერ	რუსეთი	1:0	ასათიანი
84	11/06/03	ს	ერ	ირლანდია	0:2	
85	06/09/03	მ	ერ	ალბანეთი	3:0	შ. არველაძე 2, აშვეთია
86	10/09/03	ს	ერ	ალბანეთი	1:3	შ. არველაძე
87	11/10/03	ს	ერ	რუსეთი	1:3	ა. იაშვილი
88	18/02/04	ნ	სტ	რუმინეთი	0:3	
89	19/02/04	ნ	სტ	კვიპროსი	1:3	გაბიდაური
90	20/02/04	ნ	სტ	სომხეთი	0:2	
91	27/05/04	მ	აშ	ისრაელი	0:1	
92	18/08/04	ს	აშ	მოლდოვა	0:1	
93	04/09/04	ს	მრ	თურქეთი	1:1	ასათიანი
94	08/09/04	მ	მრ	ალბანეთი	2:0	ა. იაშვილი, დემეტრაძე
95	13/10/04	ს	მრ	უკრაინა	0:2	
96	17/11/04	მ	მრ	დანია	2:2	დემეტრაძე, ასათიანი
97	09/02/05	მ	აშ	ლიტვა	1:0	აშვეთია
98	26/03/05	მ	მრ	საბერძნეთი	1:3	ასათიანი
99	30/03/05	მ	მრ	თურქეთი	2:5	ამისულაშვილი, ა. იაშვილი
100	04/06/05	ს	მრ	ალბანეთი	2:3	ბურდული, კობიაშვილი
101	19/08/05	ს	მრ	ყაზახეთი	2:1	დემეტრაძე (2)
102	03/09/05	მ	მრ	უკრაინა	1:1	გახოკიძე
103	07/09/05	ს	მრ	დანია	1:6	დემეტრაძე
104	08/10/05	მ	მრ	ყაზახეთი	0:0	
105	12/10/05	ს	მრ	საბერძნეთი	0:1	
106	12/11/05	ს	აშ	ბულგარეთი	2:6	ჯაჯობია, გოგუა
107	16/11/05	მ	აშ	ირლანდია	3:2	დემეტრაძე (2), შ. არველაძე
108	27/02/06	ნ	სტ	მოლდოვა	1:5	ცქიტიშვილი
109	02/03/06	ნ	სტ	მალტა	2:0	მარცვალაძე, ყანყავა
110	21/03/06	ს	აშ	ალბანეთი	0:0	
111	27/05/06	ნ	აშ	ეს. ზელანდია	1:3	შ. არველაძე
112	31/05/06	ნ	აშ	ჰონგკონგი	0:1	
113	16/08/06	ს	ერ	ფარერები	6:0	შ. არველაძე (3), ა. იაშვილი, კობიაშვილი, დ. მუჯირი
114	02/09/06	შ	ერ	საფრანგეთი	0:3	
115	06/09/06	ს	ერ	უკრაინა	2:3	შ. არველაძე, დემეტრაძე
116	07/10/06	ს	აშ	გერმანია	0:2	
117	11/10/06	მ	ერ	იტალია	1:3	შაშიაშვილი
118	15/11/06	მ	აშ	ესპანეთი	2:0	კობიაშვილი (2)
119	07/02/07	მ	აშ	თურქეთი	1:0	სირაძე
120	24/03/07	ს	ერ	ჩეხეთი	1:2	შ. არველაძე
121	28/03/07	მ	ერ	ფარერები	3:1	ა. იაშვილი (2), სირაძე
122	02/06/07	ს	ერ	ლიტვა	0:1	
123	06/06/07	ს	ერ	საფრანგეთი	0:1	
124	22/08/07	ს	აშ	ლუქსემბურგი	0:0	
125	08/09/07	მ	ერ	უკრაინა	1:1	სირაძე
126	12/09/07	ს	აშ	უზერბაიჯანი	1:1	ტატანაშვილი
127	13/10/07	ს	ერ	იტალია	0:2	
128	17/10/07	მ	ერ	ჩეხეთი	2:0	მჭედლიძე, სირაძე
129	16/11/07	ს	აშ	ყაზარი	2:1	ყანყავა, სალუქვაძე
130	21/11/07	მ	ერ	ლიტვა	0:2	
131	06/02/08	მ	აშ	ლატვია	1:3	ჯალაღე
132	26/03/08	ს	აშ	ჩრდ. ირლანდია	1:4	ცქიტიშვილი
133	27/05/08	ს	აშ	ესტონეთი	1:1	ყენია
134	31/05/08	ს	აშ	პორტუგალია	0:2	

მატჩები

ლევან კობიაშვილი	72
გიორგი ნემსაძე	69
ჯახა ჯალაღე	62
გოჩა ჯამარაული	62
შოთა არველაძე	61
გიორგი დემეტრაძე	56
ლევან ცქიტიშვილი	55
გიორგი ქინქლაძე	54
თემურ ქცბაია	50
მიხეილ ყაველაშვილი	45
ზურაბ ხიზანიშვილი	44
ალექსანდრე იაშვილი	41
მალხაზ ასათიანი	33
დავით კვირკველია	33
გიორგი ლომაია	32
არჩილ არველაძე	32
ზურაბ მენთეშაშვილი	31
მურთაზ შელია	28
დავით გვარამაძე	28
ჯახა გოგიჩაიშვილი	27
დავით მუჯირი	25
მიხეილ აშვეთია	24
გიორგი ჩიხრაძე	24
ჯახა ცხადაძე	23
ლაშა სალუქვაძე	23
გიორგი შაშიაშვილი	22
ჯაბა ყანყავა	22
გელა შეყილაძე	22
ლევან სილაგაძე	21
გივი დიდავა	21
ალექსანდრე რეხვიაშვილი	21
რატი ალექსიძე	21

გოლები

შოთა არველაძე	26
თემურ ქცბაია	16
გიორგი დემეტრაძე	12
ალექსანდრე იაშვილი	12
გიორგი ქინქლაძე	8
მიხეილ ყაველაშვილი	8
ლევან კობიაშვილი	7
გოჩა ჯამარაული	6
არჩილ არველაძე	6
მიხეილ აშვეთია	5
ზაზა ჯანაშია	4
მალხაზ ასათიანი	4
დავით სირაძე	4

შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი

სახელი	გვარი	ა	თარიღი	კლუბი	თ	გ
ვალერი	აბრამიძე	მ	17/01/80	ანჟი (რუსეთი)	6	–
ჯახა	ალადაშვილი	ნ	11/08/83	დინამო (უკრაინა)	6	–
რაატი	ალექსიძე	თ	08/09/78	ლოკომოტივი	21	–
ალექსანდრე	ამისულაშვილი	მ	20/08/82	ნალჩიკი (რუსეთი)	10	1
არჩილ	არველაძე	თ	22/02/73	თამაში დაასრულა	32	6
რევაზ	არველაძე	ნ	15/09/69	თამაში დაასრულა	11	1
შოთა	არველაძე	თ	22/02/73	თამაში დაასრულა	61	26
მალხაზ	არზინი	მ	15/08/64	თამაში დაასრულა	1	–
მალხაზ	ასათიანი	მ	04/08/81	ლოკომოტივი (რუსეთი)	33	4
დავით	ასლანაძე	მკ	16/11/76	თამაში დაასრულა	1	–
თორნიკე	აფციაური	ნ	28/11/79	გაბალა (აზერბაიჯანი)	2	–
შალვა	**აფხაზავა**	**თ**	**04/08/80**		1	–
მიხეილ	აშვეთია	თ	10/11/77	ანჟი (რუსეთი)	24	5
ლადო	ახალაია	თ	26/06/82	უგუნდო	1	–
ბადრი	ახვლედიანი	მ	19/10/70	თამაში დაასრულა	2	–
გიორგი	ბალაშვილი	მ	07/08/73	დილა	3	–
რევაზ	ბარბაძე	თ	04/10/88	ანჟი (რუსეთი)	1	–
ალექსი	ბენაშვილი	ნ	20/03/89	ზესტაფონი	1	–
ბესიკ	ბერაძე	მ	20/02/68	თამაში დაასრულა	8	–
მელორ	ბიგვავა	თ	17/01/63	ჯოლერბახი (გერმანია)	1	–
მიხეილ	ბობოხიძე	თ	23/11/81	უგუნდო	1	–
დავით	ბოლქვაძე	ნ	05/06/80	ამერი	1	–
შირზა	ბჟალავა	ნ	05/02/88	ლუზენაუ (ავსტრია)	1	–
ლადო	ბურდული	ნ	26/02/80	ხარია (უკრაინა)	20	2
გიორგი	გაბიდაური	ნ	06/12/79	ოლიმპი	3	1
იური	გაბისაკირია	ნ	01/09/68	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	განგარავა	ნ	21/02/88	ბოლესლავი (ჩეხეთი)	8	–
გიორგი	გახოკიძე	ნ	09/11/77	თამაში დაასრულა	19	3
ნიკა	გელაშვილი	თ	05/08/85	ზესტაფონი	2	–
ირაკლი	გენეზაშვილი	მ	06/07/77	ჰალეშერი (გერმანია)	1	–
დავით	გვარამაძე	მკ	08/11/75	თამაში დაასრულა	28	–
ვასილი	გიგიაძე	თ	03/06/77	ტავრია (უკრაინა)	5	–
ჯანა	გოგიჩაიშვილი	ნ	31/10/68	თამაში დაასრულა	27	1
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ნ	26/02/76	ბაკი (აზერბაიჯანი)	5	–
გოჩა	გოგრიჭიანი	თ	12/08/64	თამაში დაასრულა	8	2
გოგიტა	გოგუა	ნ	04/10/83	ნალჩიკი (რუსეთი)	18	1
ბექა	გოცირიძე	თ	16/08/88	ზესტაფონი	4	–
რევაზ	გოცირიძე	თ	17/01/81	ამერი	2	–
შოთა	გრიგალაშვილი	ნ	30/06/86	ბორჯომი	3	–
სოსო	გრიშიკაშვილი	მკ	21/12/72	ბორჯომი	10	–
გია	გურული	თ	20/05/64	თამაში დაასრულა	3	–
ვალერი	გუჩა	მ	06/07/75	თამაში დაასრულა	6	–
გოჩა	გუკასიძე	მ	07/07/71	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	დავითნიძე	მ	18/07/78	ამერი	1	–
გიორგი	დარასელია	ნ	17/09/68	თამაში დაასრულა	8	1
ვიტალი	დარასელია	თ	27/09/78	ლოკომოტივი	10	–
აკაკი	დევაძე	მკ	28/11/71	შგლები	20	–
დავით	დვედარიანი	ნ	28/10/87	ოლიმპი	1	–
გიორგი	დეკანოსიძე	ნ	02/01/81	ამერი	2	–
გიორგი	დემეტრაძე	თ	26/09/76	არსენალი (უკრაინა)	56	12
გივი	დიდავა	ნ	26/03/76	ამერი	21	–
გრიგოლ	დოლიძე	ნ	25/10/82	ამერი	1	–
ხალ	ელიავა	მ	02/01/85	სკონტო (ლატვია)	6	–
ირაკლი	ვაშაკიძე	მ	13/03/76	გაბალა (აზერბაიჯანი)	1	–
ირაკლი	ზოიძე	მკ	21/03/69	თამაში დაასრულა	19	–
ვაჟა	თარხნიშვილი	მ	26/08/71	მერიფი (მოლდოვა)	2	–
რევაზ	თევდორაძე	მკ	03/09/88	მერანი	1	–
სევასტი	თოღუა	მ	13/05/76	ზესტაფონი	6	–
ალექსანდრე	იაშვილი	თ	23/10/77	ჯარლსრუე (გერმანია)	41	12
სანდრო	იაშვილი	თ	03/01/85	თუნი (შვეიცარია)	3	–
დავით	იმედაშვილი	მ	15/12/84	დინამო (უკრაინა)	1	–
გელა	ინაშიშვილი	ნ	03/10/66	თამაში დაასრულა	10	–
ზურაბ	იონანიძე	თ	02/12/71	ზესტაფონი	4	1
თემურ	კაბისაშვილი	მ	13/09/67	თამაში დაასრულა	1	–
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	თ	02/11/78	ლოკომოტივი	1	–
ჯახა	კალაძე	მ	22/02/78	მილანი (იტალია)	62	1
ილია	კანდელაკი	მ	16/12/81	შტურმი (ავსტრია)	12	–
ჯაბა	კანყავა	ნ	18/03/86	დნიპრო (უკრაინა)	22	2
მერაბ	კაციტაძე	მ	25/02/63	თამაში დაასრულა	1	–
ჯახა	კაჭარავა	თ	19/09/66	თამაში დაასრულა	2	1
გივი	კვარაცხელია	ნ	11/05/79	მტზ-რიპპო (ბელარუსი)	6	–
ალექსანდრე	კვახაძე	მ	17/08/84	ვიტ ჯორჯია	4	–
ჯახა	კვეტენაძე	ნ	03/06/70	თამაში დაასრულა	1	–
დავით	კვირკველია	ნ	27/06/80	რუბინი (რუსეთი)	33	–
გიორგი	კიკნაძე	ნ	26/04/76	თამაში დაასრულა	10	1
გიორგი	კილასონია	ნ	09/09/68	თამაში დაასრულა	3	–
ირაკლი	კლიმიაშვილი	ნ	30/05/88	ვიტ ჯორჯია	2	–
სანდრო	კობახიძე	ნ	11/02/87	დნიპრო (უკრაინა)	3	–
ლევან	კობიაშვილი	ნ	10/07/77	შალკე (გერმანია)	72	7
ლევან	კორიალიძე	ნ	21/02/80	დაჩია (მოლდოვა)	3	–
დიმიტრი	კუდინოვი	ნ	08/02/63	თამაში დაასრულა	18	1
ნეგზარ	ლობჟანიძე	მ	07/09/71	თამაში დაასრულა	13	–
უჩა	ლობჟანიძე	მ	23/02/87	ზესტაფონი	2	–
გიორგი	ლომაია	მკ	08/08/79	ოლიმპი	32	–
დავით	ლომაია	მ	18/05/85	ვიტ ჯორჯია	1	–
გიორგი	ლორია	მკ	27/01/86	დინამო	2	–
გიორგი	მაკარიძე	მკ	31/03/90	დინამო	5	–
ზურაბ	მამალაძე	მკ	10/02/82	გაბალა (აზერბაიჯანი)	2	–

სახელი	გვარი	ა	თარიღი	კლუბი	თ	გ
ოთარ	მარცვალაძე	თ	14/07/84	დინამო (უკრაინა)	10	1
ლევან	მაორაძე	ნ	05/12/77	აელ (კვიპროსი)	3	–
მამეკა	მაჭავარიანი	მ	27/11/70	თამაში დაასრულა	3	–
ჯახა	მახარაძე	ნ	20/10/87	ოლიმპი	2	–
მიხეილ	მახვილაძე	მ	22/07/78	ოლიმპი	1	–
გიორგი	მეგრელაძე	თ	21/07/78	ოლიმპი	1	–
ლევან	მელოქაძე	თ	12/12/79	უგუნდო	4	–
ზურაბ	მენთეშაშვილი	ნ	30/01/80	ვენტსპილსი (ლატვია)	31	1
გიორგი	მერებაშვილი	ნ	15/08/86	დინამო	1	–
ლევან	მიქაძე	მ	13/09/73	უგუნდო	1	–
ირაკლი	მოღებაძე	თ	04/10/84	უგუნდო	1	–
ლაშა	მონასელიძე	ნ	02/01/77	უგუნდო	1	–
ჯახა	მჟავანაძე	მ	02/10/78	ჩერნომორეცი (უკრაინა)	14	–
ამირან	მუჯირი	ნ	20/02/74	ბაკი (აზერბაიჯანი)	1	–
დავით	მუჯირი	ნ	02/01/78	ლოკომოტივი (რუსეთი)	25	1
დავით	მჭედლიშვილი	ნ	05/04/88	ამერი	2	–
ლევან	მჭედლიძე	თ	24/03/90	ემპოლი (იტალია)	5	1
გიორგი	ნავალოესკი	მ	28/06/86	ანჟი (რუსეთი)	2	–
გიორგი	ნემსაძე	ნ	10/05/72	თამაში დაასრულა	69	–
გიორგი	ნიკურაძე	მკ	01/10/79	თამაში დაასრულა	1	–
ლაშა	ნოზაძე	ნ	18/03/80	შახტიორი (ყაზახეთი)	1	–
დავით	ოდიკაძე	ნ	14/04/81	დინამო	5	–
რონინ	ონიანი	ნ	14/06/75	ზესტაფონი	1	–
გიორგი	რევაზიშვილი	ნ	31/03/77	თამაში დაასრულა	1	–
ზაზა	რევიშვილი	მ	23/09/68	თამაში დაასრულა	11	–
ნუკრი	რევიშვილი	მკ	02/03/87	რუბინი (რუსეთი)	8	–
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	ნ	06/08/74	თამაში დაასრულა	21	–
ლაშა	სალუქვაძე	მ	21/12/81	რუბინი (რუსეთი)	23	1
ამირან	სანაია	მ	09/09/89	ლე მანი (საფრანგეთი)	2	–
არჩილ	სახვაძე	მ	10/03/78	უგუნდო	1	–
ედიკ	საჯაია	მ	16/02/81	ზესტაფონი	9	–
გიორგი	სეთურიძე	მ	01/04/85	ჯარლ ცაისი (გერმანია)	1	–
ვასილი	სეფაშვილი	თ	17/02/69	თამაში დაასრულა	3	–
ჯანა	სიდამონიძე	მ	17/04/71	თამაში დაასრულა	5	–
ლევან	სილაგაძე	მ	04/08/76	ოლიმპი	21	–
დავით	სირაძე	თ	20/10/81	ნალჩიკი (რუსეთი)	12	4
თენგიზ	სიჭინავა	ნ	15/05/72	თამაში დაასრულა	10	–
ზვიად	სტურუა	მკ	25/04/78	ბათუმი	2	–
დიმიტრი	ტატანაშვილი	თ	19/10/83	ჰლზენი (ჩეხეთი)	2	1
ნიკოლოზ	ტოგონიძე	მკ	26/04/71	თამაში დაასრულა	11	–
თემურ	ტუღუში	თ	24/02/72	თამაში დაასრულა	3	–
გოჩა	ტყებუჩავა	მ	24/11/63	თამაში დაასრულა	1	–
გია	ფირცხალავა	მ	03/01/65	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	ფოფხაძე	მ	25/10/86	ვიბორგი (დანია)	2	–
ზურაბ	ფოფხაძე	მ	02/06/72	თამაში დაასრულა	4	–
მიხეილ	ფოცხვერია	თ	12/08/75	თამაში დაასრულა	4	–
რევაზ	ქემოკლიძე	მ	13/03/79	სპარტაკი	20	–
თემურ	ქეცბაია	ნ	18/03/68	თამაში დაასრულა	50	16
გიორგი	ქინქლაძე	ნ	06/07/73	თამაში დაასრულა	54	8
მათე	ღვინიანიძე	მ	10/12/86	მიუნხენ 1860 (გერმანია)	4	–
გიორგი	ღუღუშაური	ნ	18/02/73	თამაში დაასრულა	8	–
მიხეილ	ყაველაშვილი	თ	22/07/71	თამაში დაასრულა	45	8
ლევან	ყენია	ნ	18/10/90	შალკე (გერმანია)	10	1
დავით	ყიზილაშვილი	თ	12/12/70	თამაში დაასრულა	8	2
გიორგი	ყიფიანი	ნ	12/08/78	თამაში დაასრულა	2	–
გიორგი	შაშიაშვილი	მ	01/09/79	შტურმი (ავსტრია)	22	1
მურთაზ	შელია	მ	25/03/69	თამაში დაასრულა	28	–
გელა	შეყილაძე	მ	14/09/70	თამაში დაასრულა	22	–
დავით	ჩალაძე	თ	22/01/76	თამაში დაასრულა	4	1
გოჩა	ჩიქოვანი	მ	12/10/62	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	ჩიხრაძე	მ	01/10/67	თამაში დაასრულა	24	–
გია	ჩხაიძე	მ	23/02/70	თამაში დაასრულა	3	–
ჯახა	ჩხეტიანი	მ	24/02/78	სიმერგი (აზერბაიჯანი)	1	–
დავით	ცომაია	ნ	04/09/67	თამაში დაასრულა	4	–
ლევან	ცქიტიშვილი	ნ	10/10/76	ლოკომოტივი	55	2
ჯახა	ცხადაძე	მ	07/09/68	თამაში დაასრულა	23	1
მერაბ	ძოძუაშვილი	თ	04/11/80	თამაში დაასრულა	2	–
მამეკა	წერეთელი	მ	17/01/79	თამაში დაასრულა	12	–
რაატი	წინაძეძვრიშვილი	თ	22/03/88	ამერი	3	–
გიორგი	ჭანკოტაძე	მ	04/10/77	თამაში დაასრულა	3	–
გრიგოლ	ჭანტურია	მკ	25/09/73	ზესტაფონი	6	–
სოსო	ჭედია	ნ	09/10/65	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	ჭელიძე	ნ	29/11/84	სიონი	2	–
დავით	ჭიჭვეიშვილი	მ	23/01/75	ოლიმპი	3	–
ვახტანგ	ხვადაგიანი	მ	04/04/72	თამაში დაასრულა	1	–
გიორგი	ხიდეშელი	ნ	23/01/88	ზესტაფონი	2	–
ოთარ	ხიზანეიშვილი	მ	26/06/81	აეგსბურგი (გერმანია)	19	–
ზურაბ	ხიზანიშვილი	მ	06/10/81	ბლექბერნი (ინგლისი)	44	–
დავით	ხმელიძე	მკ	28/04/79	ლოკომოტივი (ბელარუსი)	1	–
შალვა	ხუჯაშე	მ	05/10/75	თამაში დაასრულა	2	–
ლაშა	ჯაჯობია	თ	20/08/80	ვორსლა (უკრაინა)	12	1
გოჩა	ჯამარაული	ნ	23/07/71	თამაში დაასრულა	62	6
დავით	ჯანაშია	თ	07/08/72	თამაში დაასრულა	10	3
ზაზა	ჯანაშია	თ	10/02/76	თამაში დაასრულა	9	4
დავით	ჯანელიძე	მკ	09/02/73	თამაში დაასრულა	2	–
ზვიად	ჯულაძე	მ	16/12/73	ვოსტოკი (ყაზახეთი)	3	–
მამეკა	ჯიქია	ნ	11/12/75	ლუს (ლოძი, პოლონეთი)	3	–
გია	ჯიშკარიანი	ნ	30/11/67	თამაში დაასრულა	8	1
მიხეილ	ჯიშკარიანი	თ	01/11/69	თამაში დაასრულა	2	–

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბოლო იტალიური

NATIONS CUP

დღეს საქართველოს ნაკრები თავის ბოლო მატჩს ითამაშებს მსოფლიოს ერთა თასზე და საზაფხულო სეზონს ამით დაასრულებს.

შეგახსენებთ, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ორგანიზებულ ერთა თასზე ჩვენებმა ორი მატჩი უკვე ითამაშეს — წააგეს სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან" და მსაჯიანად მოუგეს ურუგვაის. ახლა ჩვენებს იტალიის A ნაკრებთან დარჩათ სათამაშო, თუმც პირველობაზე ვერაფრით გაიქაჩებიან.

ექვსგუნდა ტურნირის ფორმატით, ყველა ნაკრები კენჭისყრით სამ მატჩს თამაშობს. აქ არ არის პლეი ოფი და სამი მატჩის ჯამში მეტი ქულის მომხვეჭი ნაკრები ტურნირის ჩემპიონად ცხადდება. მოქმედებს პრემიალური სისტემა: ოთხი ლელოს გამტანი ან შვიდი და ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ერთი პრემიალური ქულა ენიჭება.

სამწუხაროდ, სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან" წაგებით ქართველებმა სეფეგუნდობის შანსი დაკარგეს. არადა, ჩვენები მესამე კი არა, მეორე გუნდით რომ ჩასულიყვნენ რუმინეთში, აფრიკელთა დამარცხება და ჩემპიონობაც რეალური იყო.

ჩვენებს მხოლოდ პირველ მატჩში უმწვრთნელა ავსტრალიელმა ტიმ ლეინმა, მერე კი შეთანხმებით სამშობლოში დაბრუნდა. ლეინმა ისედაც ბევრი დრო გაატარა საქართველოში, ეროვნული ჩემპიონატის ტური არ გაუცდენია. ბუქარესტში კი გუნდი და რჩევები 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელებს, ნიკო ჭავჭავაძეს და ლევან მაისაშვილს გადაებარა. IRB-ს ერთა თასზე ჩვენები სწორედ 20-წლამდელებს დამატებული რამდენიმე გამოცდილი მორაგბით თამაშობენ და თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, რომ გუნდი სწორედ ქართველ მწვრთნელებს დაემოძღვრათ.

გუშინ კი ნიკო ჭავჭავაძემ და ლევან მაისაშვილმა ის 22-კაცა რაზმი დაასახელეს, დღეს იტალიის A ნაკრებს რომ ერაგბება. სათადარიგოებში მოხვდნენ ვიტო კოლელიშვილი, გიორგი როხვაძე და ბექა წიკლაური. ამ სამეულმა წინა ორ მატჩში იუქმა და ალბათ დღეს პირველად მოირგებენ ნაკრების მაისურას. მატჩი 18:55 წუთზე დაიწყება და მის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი არხი აჩვენებს.

ბაჩო სვანიძე

საქართველო იტალიასთან

15 ოთარ ბარკალაია
14 გიორგი შკინინი
13 სანდრო თოდუა
12 ლაშა ხმალაძე
11 ირაკლი ჩხიკვაძე
10 ლაშა მალაღურაძე
9 ბიძინა სამხარაძე
8 ბესიკ უდესიანი (კაპ)
7 ირაკლი გუნდიშვილი
6 სიმონ მაისურაძე
5 კახა უჩავა
4 გიორგი ნემსაძე
3 გიორგი ხოსიტაშვილი
2 ირაკლი ნატრიაშვილი
1 დავით გასვიანი

სათადარიგონი

16 ჯაბა ბრეგვაძე
17 შოთა მელიქიძე
18 კარლენ ასეიშვილი
19 ვიტო კოლელიშვილი
20 გიორგი როხვაძე
21 ბექა წიკლაური
22 ირაკლი ყიასაშვილი

სატურნირო ვითარება

ს. აფრიკა	2	0	0	31:22	0	8
რუმინეთი	2	0	0	23:18	0	8
იტალია A	1	0	1	57:35	2	6
საქართველო	1	0	1	23:29	0	4
ურუგვაი	0	0	2	24:30	2	2
რუსეთი	0	0	2	27:51	1	1

საკალენდრო ბრძოლა

ბაჩო ჯიმსელაძის ფოტო

გია ნიჟარაძე და კოკა ლაზიშვილი

სანამ საქართველოს ნაკრები რუმინეთში, IRB-ის ერთა თასზე თამაშობს, ჩვენი რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა საბერძნეთში ჩაფრინდა, სადაც ევროპის რაგბის ასოციაციის (FIRA-AER) მეოთხმოცე ყრილობა ჩატარდება.

FIRA-AER-ის ყრილობას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და ვიცეპრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი დაესწრებიან. მთავარი საკითხი კი 2009-10 წლების ერთა თასის კალენდრის შეთანხმებაა, რომელიც 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა.

ორწლიანი და ათმატჩა ერთა თასის გამარჯვებული პირდაპირ გაემგზავრება ახალზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე, მეორე ადგილოსანს კი შედარებით იოლი შესარჩევი ეტაპი ელის. ამიტომაც ერთა თასის ბობოლები — საქართველო, რუმინეთი, რუსეთი და პორტუგალია — ყველანაირად შეეცდებიან, სასურველი კალენდარი შეადგინონ და მსოფლიოს თასის გზა გაიიოლონ. ერთი კია, თუ კავშირის ხელმძღვანელები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, მატჩები ავტომატურად ინიშნება ელიტარული ექვსი ერის განრიგით. ამ შემთხვევაში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) კანონი კანონობს და უცხოურ კლუბებს უფლება აღარ ექნებათ, ლეგიონერები სანაკრებოდ არ გაათავისუფლონ, თორემ წლეულს ფრანგული კლუბების სიჯიუტის გამო საქართველოს ნაკრებმა ერთხელაც ვერ შეკრიბა ოპტიმალური რაზმი.

ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა და კავშირის ხელმძღვანელობამ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ხუთივე მატჩი თებერვალ-მარტში გამართონ. ესპანეთს უნდა, რომ აპრილის ბოლოს ვეთამაშოთ, ერთა თასის ახალ წევრ გერმანიას კი ივნისის ბოლოსკენ სურს ჩვენების მასპინძლობა, მაგრამ ამას ქართველები არ დათანხმდებიან, რაკი ასეთ შემთხვევაში ცხრილი IRB-ის კალენდარს არ ემთხვევა და წამყვანი ლეგიონერებს ვერ შეკრებენ. აქვე ვთქვათ, რომ რუსებს კვლავ ციმბირში უნდაც ჩვენთან საშინაო მატჩის ჩატარება, რაზეც ქართული მხარე არ დაყაბულდება.

იქამდე კი 2009-10 წლის ერთა თასის პირველი წრის წინასწარ შეთანხმებული კალენდარი ასეთია:

7 თებერვალი
გერმანია — საქართველო
პორტუგალია — რუსეთი
ესპანეთი — რუმინეთი
14 თებერვალი
საქართველო — პორტუგალია
რუსეთი — ესპანეთი
გერმანია — რუმინეთი
28 თებერვალი
ესპანეთი — საქართველო
რუმინეთი — რუსეთი
პორტუგალია — გერმანია
14 მარტი
საქართველო — რუმინეთი
პორტუგალია — ესპანეთი
გერმანია — რუსეთი
21 მარტი
რუსეთი — საქართველო
რუმინეთი — პორტუგალია
ესპანეთი — გერმანია



ბაჩო ჯიმსელაძის ფოტო

აზერბაიჯანის ქართული ჯანი

ბარბაქაძემ ჯუჯებს თავბრუ დაახვია

ზოგადად, ივნის-ივლისი ევროკალათბურთში დასვენების პერიოდია. საკლუბო და სანაკრებო მატჩებში გადაღლილი მოთამაშეები კუნთებს ადუნებენ, ძალებს იკრებენ და ახალი სეზონისთვის ემზადებიან, თუმც კონტინენტის უსუსტეს ნაკრებებს მოსასვენებლად არ სცხელათ — სწორედ ახლაა გახურებული C დივიზიონის საკვალიფიკაციო ეტაპი, რომელზეც ჯუჯა ქვეყნებთან ერთად, ის ნაკრებებიც თამაშობენ, რომლებსაც კალათბურთში მოკრძალებული სიტყვა ეთქმით.

შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში 8 ქვეყნის ნაკრები შეიყარა, რომლებიც B დივიზიონში ასანაცვლებელი 2 საზგურისთვის იბრძვიან. და რა შუაში ვართ ჩვენ ამ სუსტების „აღლუმთან"? ნუ შეშფოთდებით, საქართველოს ნაკრები C დივიზიონში არავის გადაუსვრია — ედინბურგულ ტურნირში თამაშობს ერთი ქართველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის ლიდერი დავით ბარბაქაძე, რომელიც აზერბაიჯანის ნაკრების ღირსებას იცავს და ჩვენს მეზობელს B დივიზიონისკენ ექაჩება.

სანამ ჩვენებურის ამბებს მოვყვებით, უფრო ახლოს გაგაცნობთ ამ ტურნირის რაობასა და მასში მონაწილე გუნდებს. 8 ნაკრები ორ ჯგუფადაა გაყოფილი და ერთი წრის ჩათამაშების შემდეგ ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალებში დაწყვილდება — B დივიზიონის საგზურებს კი ფინალში გასული გუნდები მოიპოვებენ.

აზერბაიჯანის ნაკრები ჯგუფში გიბრალტართან, სან მარინოსა და მოლდოვასთან მოხვდა, ხოლო მეორე კვარტეტი შოტლანდიის, ანდორის, მალტისა და უელსის გუნდებმა შეადგინეს.

დავით ბარბაქაძის დახმარებით აზერბაიჯანის ნაკრებმა საწყისი 2 მატჩი მოიგო და დღეს მოლდოვასაც თუ აჯობებს, ჯგუფში პირველ ადგილს გაინაღდებს, რაც მის B დივიზიონში გადასვლის შანსებს ერთიორად გაზრდის. საქმე ისაა, რომ მეორე ჯგუფს შოტლანდიელები ლიდერობენ და გადამწყვეტ მატჩში მასპინძლებთან შეჯახება აზერბაიჯანელებისთვის სახარბიელო არ იქნება. თუ ჩვენი მეზობლები პირველ ადგილს შეინარჩუნებენ, სავარაუდოდ, ნახევარფინალში ჯუჯა ანდორას შეხვდებიან, რომლის დამარცხებაც ალბათ არ გაუჭირდებათ.

ბარბაქაძე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია. მან ორ თამაშში 46 ქულა მოაგროვა. გიბრალტართან 96:61 მოგებულ შეხვედრაში აზერბაიჯანელთა ქართველმა სნაიპერმა 35 წუთი ითამაშა და 19 ქულასთან ერთად 11 მოხსნა, 6 ჩაჭრა, 3 პასი და 1 დაფარება მოინაგრა. გაცილებით შედეგიანი იყო ბარბაქაძე სან მარინოსთან მატჩში — 40 წუთში მის ანგარიშზე 27 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა, აზერბაიჯანმა კი იტალიის ნასხლეტი სან მარინო 75:69 დაამარცხა.

თავის დროზე, აზერბაიჯანის ნაკრები B დივიზიონში გამოდიოდა და 2001 წელს ჯგუფში საქართველოსთან ერთადაც იყო, ოღონდ, ცხადია, ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებია და უკვე კარგა ხანია, ევროპის უსუსტეს გუნდებთან ერთად ყურყუტებს C დივიზიონში.

ირაკლი პერტაია

სტუდენტები ვერის ბაღიდან იწყებენ

20-30 ივნისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში პირველად, სტუდენტური ლიგის ჩემპიონატი გაიმართება. გათამაშებაში შვიდი აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდი გამოვა (თსუ, სტუ, სამედიცინო უნივერსიტეტი, „ქუთაისი", A.I.B, აგრარული უნივერსიტეტი და შავი ზღვის უნივერსიტეტი).

სტუდენტური ლიგა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ტარდება. 30 ივნისს სტუდენტური ლიგის პირველი ეტაპი დამთავრდება და გაირკვევა ის ოთხი საუკეთესო გუნდი, რომელიც ოქტომბერში ფინალურ ეტაპს გაითამაშებს.

ზურაბ მიგრიაული

ბოსტონის 17 გაელვება

„ბოსტონ სელტიქსი“ ნბა-ს ერთ-ერთი დამაარსებელი და ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, რომელმაც წლეულს დაარღვია 22-წლიანი უქმობა და მანამდე მოპოვებულ 16 საჩემპიონო ტიტულს რამდენიმე დღის წინ მე-17 მიამატა. „მწვანე გუნდის“ ყველაზე პრინციპულ მეტოქედ ითვლება სწორედ ახლახან ძლეული „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, რომელსაც „სელტიქსმა“ მეთერთმეტე დაპირისპირებაში, აგერ მეცხრედ აჯობა. „სარბიელმა“ მათ შორის წინა ათ ფინალურ შეხვედრას ცალ-ცალკე სტატია მიუძღვნა, ახლა კი „ბოსტონის“ სხვა გამარჯვებათა მოკლე ანთოლოგიას გთავაზობთ

1. 1957. ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი

გასაკვირი სულაც არაა, რომ პირველი ბოსტონური საჩემპიონო ბეჭედი გამოიჭედა არა „ლეიკერსთან“ (იმხანად მინეაპოლისის სახელით გამოდიოდა), არამედ „სენტ ლუის ჰოქსთან“ ჭიდილში. დღევანდელი ატლანტელი „ქორების“ სენტლუისელი წინაპრები 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ბერდამდელ ეპოქაში უძლიერესი თეთრი სუპერფორვარდით ბობ პეტიტით იწონებდნენ თავს და ეს ოხერი „სელტიქსი“ გზად რომ არ გადაყროდათ, არაერთ ფინალს მოიგებდნენ, ასე კი რედ აუერბახის გუნდს ოთხჯერ შეეტაკნენ და სამჯერ დათმობა მოუხდათ.

„ბოსტონი“ ნბა-ში პირველივე დღიდან გამოდიოდა, მაგრამ თავიდან არცთუ შთამბეჭდავად. პირველი ათი წელი ფინალსაც კი არ გააკარეს მიუხედავად იმისა, რომ ბობ კოუზი და ბილ შარმენი მუდამ ხვდებოდნენ „ყველა ვარსკვლავის“ კრებულში და 8-გუნდიან ლიგაში უძლიერეს უკანა ხაზს ქმნიდნენ — კოუზი საუკეთესო გამთამაშებელი იყო, შარმენი კი სნაიპერული თვისებებით და დაცვაში თავდაუზოგავი თამაშით გამოირჩეოდა. ჰყავდათ ერთი კარგი მეფარეც, ედ მაკკოლი, რომელიც 1956 წელს აუერბახმა „სენტ ლუისს“ დრაფტში არჩეულ ბილ რასელში გაუცვალა და კლუბის ისტორიაში ამ ნაბიჯს გადატრიალების ეფექტი ჰქონდა — რასელმა „სელტიქსს“ 13 სეზონში 11 ჩემპიონობა მოუტანა, პირველი მსხვერპლი კი სწორედ „სენტ ლუისი“ გახლდათ.

ფინალი სასტიკი ბრძოლით დაიწყო. პირველ შეხლაში ბილ შარმენმა 36 ქულა გააკეთა, მაგრამ ბობ პეტიტს 37 მოუგროვდა, ედ მაკოლის და სლეიტერ მარტინს კი 23-23 და მათმა „სენტ ლუისმა“ უდაბურეს ბრძოლაში მეორე ოვერტაიმში ბოლო წამებზე ჩაგდებულით 125:123 მოიგო. მთელი სერია ბრძოლაში გაილია და მეშვიდე მატჩამდე მივიდა, იქ კი „ბოსტონმა“ ზუსტად იგივე ანგარიშით 125:123 და ასევე მეორე ოვერტაიმში ბოლო წამებზე ჩაგდებულით დაამარცხა „სენტ ლუისი“ და პირველად გახდა ჩემპიონი.

2. 1959. ბოსტონი 4:0 მ. ლეიკერსი

3. 1960. ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი

ფინალურ სერიაში ამ გუნდების მეორე შეხლაც შვიდთამაშა გამოდგა. „ბოსტონი“ სამჯერ დაწინაურდა და „სენტ ლუისმა“ სამჯერვე გაუთანაბრა, მაგრამ გადამწყვეტ შეხლაში ვერც მაკკოლიმ და ვერც პეტიტმა ვერაფერი დაკლეს ბილ რასელს, რომელმაც 22 ქულა და 36 მოხსნა გააკეთა!

4. 1961. ბოსტონი 4:1 სენტ ლუისი

„კელტების“ და „ქორების“ მესამე და უკანასკნელ შეხვედრას წინა ორისგან განსხვავებით დაძაბულობა აკლდა მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორგზის სეზონის უძვირფასესი მოთამაშე ბობ პეტიტი 29 წლისა გახლდათ და ფორმის პიკზე მყოფი საშუალოდ 30-მდე ქულას და 20 მოხსნას იხვეჭდა. მისი გუნდი ოდნავ შესუსტებულიყო, ხოლო უკაშკაშესი ვარსკვლავებით მოოჭვილი „სელტიქსის“ ჩაქრობას ვერავინ შეძლებდა. „კელტებმა“ მხოლოდ ერთი თამაში დაუთმეს ფინალში მეოთხედ და უკანასკნელად გასულ „ქორებს“.

5. 1962. ბოსტონი 4:3 ლ.ა. ლეიკერსი

6. 1963. ბოსტონი 4:2 ლ.ა. ლეიკერსი

7. 1964. ბოსტონი 4:1 სან ფრანცისკო

„სენტ ლუისის“ გაცვეთის შემდეგ „ბოსტონს“ დასავლეთიდან ერთთავად „ლეიკერსი“ ეჭიშპებოდა, მაგრამ აი 1964 წელს ტრადიცია დაირღვა და ფინალში „სან ფრანცისკო უორიორზი“ ამოვიდა, ვისაც არსენალში გოლიათი უილ ჩემბერლენი „ჰქონდა“. ეს კლუბი ადრე „ფილადელფია უორიორზის“ სახელით დამოდიოდა და „ბოსტონი“ მას სულ აღმოსავლეთის ფინალში ამარცხებდა თავის ჩემბერლენიანად, ახლა კი ქალაქ „ფრისკოს“ მიაშურა და იქიდან ფინალამდე მიატანა, მაგრამ მერე რა? ფინალშიც იოლად მოინელა „ბოსტონმა“. ჩემბერლენმა რასელს მხოლოდ ერთადერთხელ, 1967 წელს მოუგო სერია, როცა ზღაპრული გუნდი უმაგრებდა ზურგს.

8. 1965. ბოსტონი 4:1 ლ.ა. ლეიკერსი

9. 1966. ბოსტონი 4:3 ლ.ა. ლეიკერსი

10. 1968. ბოსტონი 4:2 ლ.ა. ლეიკერსი

11. 1969. ბოსტონი 4:3 ლ.ა. ლეიკერსი

12. 1974. ბოსტონი 4:3 მილუოკი

რასელის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ „ბოსტონის“ ჰეგემონიაც დასრულდა, მაგრამ გუნდი არ დაბეჩავებულა. ბებერ ჯარისკაც ჰონ ჰავლიჩეკს ახალწვეულები დეივ კოუენსი და ჯოჯო უაითი ამოუდგნენ და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ „სელტიქსი“ ისევ გაიყვანეს ფინალში, სადაც რამდენიმე წლის წინ შექმნილ „მილუოკი ბაქსს“ გადააწყდნენ. ამ გუნდს ახალგაზრდა სუპერცენტრით ქარიმ აბდულ-ჯაბარით და მხცოვანი სუპერგამთამაშებლით ოსკარ რობერტსონით მოსწონდა თავი და 1971 წელს უკვე მოესწრო ჩემპიონობა.

სერია ღირსსანახავი გამოვიდა — „მილუოკის“ ბრძოლის დიდი ჟინი აღმოაჩნდა და ორი თამაში ოვერტაიმში მოუგო „ბოსტონს“, მაგრამ მეშვიდე ჩაფლავა და „სელტიქსმა“ პირველად შემართა საჩემპიონო სინჯარა ჰოსტრასელისეულ ეპოქაში. ჰავლიჩეკი კი ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელდა.

13. 1976. ბოსტონი 4:2 ფინიქსი

როგორც ხშირად უწოდებენ, „გარდამავალი“ „ბოსტონი“ ორი წლის შემდეგაც გახდა ჩემპიონი კიდევ ერთი ახალგაზრდა გუნდის „ფინიქს სანზის“ ძლევის შემდეგ. ამ უკანასკნელს არავინ თვლიდა ჩემპიონობის კანდიდატად, მაგრამ „ფინიქსი“ ფინალში მაინც გაძვრა და იქაც ღირსეული წინააღმდეგობა შეჰბედა ასოციაციის ყველაზე წარმატებულ გუნდს.

კლასიკად იქცა მეხუთე შეხვედრა, როცა 2:2 ანგარიშიდან გამარჯვებით გამოსვლა ორივე ფინალისტს ჰაერივით სჭირდებოდა. „ბოსტონი“ პირველ მეოთხედში 32:12 კი დაწინაურდა, მაგრამ „ფინიქმაც“ უტეხი ხასიათი გამოავლინა და ჩამორჩენა ამოიღო, შემდეგ კი მატჩი ოვერტაიმში დადაიყვანა. არც დამატებით 5 წუთში დასრულდა თამაში, დავა კიდევ მეორე და მესამე ოვერტაიმებში გაგრძელდა და 63 წუთი სუფთა დროის ჩათამაშების შემდეგ გამარჯვება „ბოსტონს“ დარჩა — 128:126.

„კელტებმავე“ მოიგეს მეექვსე შეხვედრაც და ამდენად სერიაც, ფინალის უძვირფასესობა კი ამ ჯერზე ჯოჯო უაითს შეხვდა.

14. 1981. ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი

80-იან წლებში დასავლეთში მეჯიქ ჯონსონის და ქარიმ აბდულ-ჯაბარის „ლეიკერსი“ ბობოქრობდა, აღმოსავლეთს კი ლარი ბერდის „ბოსტონი“ პყრობდა, თუმც ხანდახან სხვებიც ახერხებდნენ რაღაცას. 81-ში ფინალში დასავლეთიდან იმ დროისთვის უძლიერესი ცენტრის მოზეს მელოუნის „ჰიუსტონმა“ გააღწია, აღმოსავლეთიდან კი „ბოსტონმა“. ლარი ბერდისთვის ეს პირველი ფინალი იყო, მაგრამ მას გამოუცდელობისა არაფერი ეტყობოდა, პირველი შეხვედრა რომ სრულდებოდა, ლარიმ პირით ხაზსიქით პრაქტიკულად გადასული ბურთი არათუ მოედანზე შემოაბრუნა, არამედ თავხედურად კალათშიც კი ისროლა და ჩააგდო. ტრიბუნები ლამის გადაირივნენ, კომენტატორად მჯდარ ბილ რასელს კი საერთოდ ენა ჩაუვარდა. „მაშინ მივხვდი, რომ ლარი ამ ფინალსაც მოიგებდა და კიდევ არაერთსაც. მე მიხარია, რომ მის გვერდით თამაშის ბედნიერება წილმხვდა“ — ამბობდა „სელტიქსის“ ცენტრი რობერტ პერიში.

„ბოსტონმა“ 4:2 მოიგო, ოღონდ უძვირფასესად არა ბერდი, არამედ სედრიკ მაქსველი დასახელდა.

15. 1984. ბოსტონი 4:3 ლ.ა. ლეიკერსი

16. 1986. ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი

ჩემპიონობისთვის დავა ისევ „ჰიუსტონთან“, ოღონდ სულ სხვა შემადგენლობასთან — ამ გუნდს ახლა ერთის მაგივრად უკვე ორი სუპერცენტრი ჰყავდა — მოზეს მელოუნის ადგილი 224-სანტიმეტრიანმა რალფ სიმფსონმა და 213-სანტიმეტრიანმა აკიმ ოლაჯუონმა დაიკავეს და ხალხმა მათ „წყვილი კოშკი“ შეარქვა. სიმფსონი პირდაპირ საზარელი ვინმე გახლდათ, ხასიათიც საზიზღარი ჰქონდა და ბუნებას საკალათბურთო სხეულით რომ არ დაეჯილდოვებინა, ალბათ გარეუბანთა რისხვა იქნებოდა. მეხუთე თამაშში ყველამ იხილა კიდეც, თუ რა შეუძლია ამ მონსტრს თამაშის გარდა. ერთ სადაო ეპიზოდში სიმფსონი და „ბოსტონის“ გამთამაშებელი დენის ჯონსონი წაკინკლავდნენ, რაც ელვის სისწრაფით გადაიზარდა საზარელ გუნდურ ჩხუბში. ძნელი სათქმელია ვინ მეტად გაილახა, მაგრამ ამ ფინალის მერე ნამდვილად დასრულდა სიმფსონის კალათბურთი. „ბოსტონმა“ ის დაცვაში დაუზოგავი თამაშით ჩაკლა, მერე კი უკაშარ კალათბურთელს ხასიათმაც თავისი უყო.

ფინალი კი საბოლოოდ „ბოსტონმა“ მოიგო და ლარი ბერდის დროებაში მესამე იზეიმა ჩემპიონობა.

17. 2008. ბოსტონი 4:2 ლ.ა. ლეიკერსი

ირაკლი ფირაზვილი

ბოსტონისგანძლეულები



ბობ პეტიტი


უილტ ჩემბერლენი



ქარიმ აბდულ-ჯაბარი



რალფ სიმფსონი

ბორჯომის ბადმინტონის ფოტო

ბორჯომის ხეობაში წყალი ადგაფუნდება

ამ უქმეებზე ბორჯომის ხეობაში მდინარე მტკვარზე მე-2 ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება ჯომარდობაში, რომელშიც 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას — 22 კაცების და 10 ქალების. თითო გუნდი ექვსწევრიანია და ისინი 900 მეტრიან დისტანციაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მონაწილე გუნდები სიგელებით, მედლებითა და სპონსორების მიერ დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდებიან. რადგან ჯომარდობა ექსტრემალური სპორტის სახეობაა, მონაწილეთა ჯანმრთელობის დაზღვევა სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" ითავა.

საქართველოს ჩემპიონატთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებთან საქართველოს ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქაცარავამ, გენერალურმა მდივანმა ოთარ ედიშერაშვილმა, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა ნიკა რამიშვილმა და დეპარტამენტის თავჯდომარემ დავით ნამგალაურმა ისაუბრეს.

დავით ქაცარავა: ჯომარდობაში ეროვნული ჩემპიონატი უკვე მეორედ იმართება და მინდა გითხრათ, რომ წლეულს მონაწილეთა რაოდენობა ერთიორად გაზრდილია. დამდეგ უქმეებზე ჩემპიონატი მოყვარულებში გაიმართება და გამარჯვებული ავტომატურად გადავა უმაღლეს ლიგაში. გუნდები, რომლებიც ტურნირს მიღმა დარჩნენ, უახლოეს მომავალში მათთვის გამართულ სპეციალურ შეჯიბრებაში გამოვლენ. ვფიქრობ, მე-3 ეროვნულ პირველობას მეტი რაოდენობის მონაწილეებით ჩავატარებთ.

ოთარ ედიშერაშვილი: საქართველოში ჯომარდობა ადრე მხოლოდ ჩვენი ენთუზიაზმით ეწყობოდა. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გამოჩნდნენ სპონსორები და ეს სპორტის სახეობაც მკვეთრად განვითარდა. იმედია, მომავალში ჯომარდობა ოლიმპიურ სახეობად იქცევა.

ნიკა რამიშვილი: არც ერთი სპორტი ტრავმებისგან არ არის დაზღვეული, მით უმეტეს ისეთი, როგორიცაა ჯომარდობა. ამიტომ ყველა მონაწილის ჯანმრთელობის დაზღვევა გადავწვიტეთ.

დავით ნამგალაური: მახსოვს ამ სპორტში გადადგმული პირველი ნაბიჯები. მეგობრული კავშირებით დაწყებულმა საქმეს დიდი მასშტაბები მიიღო. ჩვენი დეპარტამენტი ქართულ გუნდს წლეულსვე აგზავნიდა ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო ეს ვერ მოხერხდა. გპირდებით, რომ ქართველი ჯომარდელები არც ერთ გრანდიოზულ ტურნირს არ დააკლდებიან. საქართველოს ბუნებრივი ჰირობებიდან გამომდინარე, საწყლოსნო სახეობების განვითარება მისწრება იქნება და ამაში ჯომარდელები საუკეთესო მაგალითს იძლევიან.

ზურაბ მიგრიაული

ფოტენის გაქცევა და შლეკი ხრამში

მარკუს ფოტენი

„შვეიცარიის ტური" მთებს შეუყვა და გაცილებით საინტერესო სანახაობა გახდა. მეხუთე ეტაპზე, რომელიც დომატ-ემსიდან კასლანომდე 190 კილომეტრს მოიცავდა, ბლომად საინტერესო ამბები მოხდა.

დავიწყოთ იმით, რომ მთებში პელოტინისგან გაქცევა მოახერხეს „გეროლშტაინერის" გერმანელმა მარკუს ფოტენმა და დანიური CSC-ის ლუქსემბურგელმა მრბოლმა ფრენკ შლეკმა. ჯგუფს, რომელშიც გენერალური კლასიფიკაციის ესპანელი ლიდერი იგორ ანტონი იმყოფებოდა, ფოტენი და შლეკი დაახლოებით წუთს უგებდნენ და რადგანაც ლუქსემბურგელი ესპანელს საერთო ჩათვლაში ოდენ 18 წამით ჩამორჩებოდა, ეტაპის ბოლოსთვის ლიდერის შეცვლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ... ერთ-ერთ დაღმართში, საკმაოდ მკვეთრ მოსახვევში, შლეკმა ველოსიპედი ვეღარ დაიმორჩილა, დამცავ ბარიერს შეასკდა, ველოსიპედიდან ჩამოვარდნილი ამ ბარიერს გადაევლო და ხრამში გადაეშვა. საბედნიეროდ, ხრამი ღრმა არ იყო და ლუქსემბურგელი უვნებელი გადარჩა. ეგ კი არა, რბოლასაც კი დაუბრუნდა და ფინიშს გამარჯვებულთან შეიდწუთიანი ჩამორჩენით უწია.

გამარჯვებით კი ფოტენმა გაიმარჯვა და ეს იყო ამ 26 წლის მრბოლის ხუთწლიან პროფესიონალურ კარიერაში მეოთხე გამარჯვება.

მეორე ადგილზე გასული რუსი სერგეი ივანოვი ფოტენს 30 წამით ჩამორჩა, კიდევ 7 წამის შემდეგ კი ფინიშთან ძირითადი ჯგუფიც მივიდა, რომელშიც ანტონი და მისი უახლოესი მდევარი, ლუქსემბურგელი კიმ კირხენიც იყვნენ. ამ ჯგუფში ვერ მოხვდა იტალიელი დამიანო კუნეგო, ვინც ანტონთან 12 წამს აგებდა და შვეიცარიული რბოლის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა.

ახლა ფავორიტი უფრო კირხენია, რომელიც კვლავაც 6 წამით ჩამორჩება ანტონს, თუმც, თავის მხრივ, არც ესპანელი აპირებს ლიდერის მაისურას დათმობას.

საქა-რთველო პეკინს უახლოვდება

ძალთა ბრაზილიურ-ქართულმა ტანდემმა, საქართველომ პარიზში მიმდინარე მსოფლიოს თასის ეტაპის მეორე დღეს თითო მოგება-წაგება მიითვალა და ასპარეზობას კვლავაც განაგრძობს.

ძირითად ბადეში ქართულმა წყვილმა გიუ-ჰამზაუის ფრანგული წყვილი დაამარცხა — 2:0 (21:12, 21:12). შემდეგი მატჩში კი ჩვენებმა აშშ-ს წარმომადგენლებთან, როსი-ბოსისთან დათმეს — 1:2 (10:21, 21:15, 12:15). მომდევნო შეხვედრას, ანუ ჯგუფის დასკვნით მატჩს საქა და რთველო კაპლერისა და ზემლერის დუეტთან გამართავენ. შეგახსენებთ, რომ ქართული წყვილი ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძვის. ისინი საკმაოდ ახლოს არიან პეკინში გამგზავრებასთან.

ამავე ტურნირზე კაცთა ტანდემმა, გეორ და გიამ საკვალიფიკაციო შეხვედრა კი დათმო, მაგრამ რეიტინგიდან გამომდინარე, ისინი ძირითად ბადეში მაინც განითესნენ.

ზურაბ მიგრიაული

მოძმანაშვილს დოპინგი დაუმტკიცდა

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მძიმეწონისან დავით მოძმანაშვილს აკრძალული პრეპარატის მიღება დაუმტკიცდა და ოლიმპიადის ლიცენზიასთან ერთად ევროპის ჩემპიონის ტიტულიც ჩამოართვა. ეს ყველაფერი განმეორებითი ანალიზის ჩატარების შემდეგ მოხდა. აკრძალულ პრეპარატს ნანდროლონი ჰქვია. როგორც გაირკვა, მოძმანაშვილისთვის პრეპარატი ოლიმპიური გუნდის ექიმებს არ მიუცია. ამ შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა თავად მოჭიდავეს ეკისრება.

ამა წლის 3 მაისს ვარშავაში გამართულ ტურნირზე მოძმანაშვილის ლიცენზიის დაზღვევა ალექსანდრე მოდებაძემ სცადა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ადგილი დაიკავა, საწადელს მაინც ვერ მიაღწია. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს პეკინში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მძიმეწონისანი არ ეყოლება.

ზურაბ მიგრიაული

ქართული რეკორდები ბელარუსში

ბელარუსიაში მიმდინარეობს სალიცენზიო ტურნირი, რომელზეც ქართველმა მოცურავეებმა ირაკლი რევეიშვილმა და გიორი მთვრალაშვილმა საქართველოს რეკორდები დაამყარეს — რევეიშვილმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს რეკორდი მოხსნა და ტურნირზე მე-2 ადგილი დაიკავა. მან დისტანცია 1.53,6 წუთში დაფარა. საქართველოს რეკორდი გაუმჯობესა მთვრალაშვილმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.41,22.

რევეიშვილი 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც გამოვა, ხოლო მთვრალაშვილი 50 მეტრზე ბრასსა და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იასპარეზებს.

ტურნირზე გამოვლენ ანა სალნიკოვა და ბესარიონ მდივანიც. სალნიკოვა 50 და 100 მეტრს გაცურავს ბრასით, მდივანი კი 50, 100 და 200 მეტრზე იასპარეზებს ასევე ბრასით ცურვაში.

ზურაბ მიგრიაული

კავენდიშის ნახევარი ტური

ახალგაზრდა ბრიტანელი მრბოლი მარკ კავენდიში, რომელმაც წლევანდელ „ჯირო დიტალიაზე" ორი ეტაპი მოიგო და ამით თანამედროვე პელოტონის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერის სახელი დაიგდო, მომავალ „ტურ დე ფრანსზე" გზის მხოლოდ ნახევარს, ანუ 10 ეტაპს გაიკლის, შემდეგ კი მთელ ყურადღებას პეკინის ოლიმპიადაზე გადაიტანს.

22 წლის კავენდიში ამერიკული „ჰაი როადის" წევრია, ოღონდაც ამ გუნდს დღე-დღეზე ახალი სახელი, „კოლუმბია" ექნება და ველოგუნდის მფლობელმა ბობ სტეპლტონმა ინგლისურ „გარდიანთან" ინტერვიუში შემდეგი ბრძანა: „თუ ყველაფერი რიგზე იქნა, 5 ივლისს კავენდიში „ტურ დე ფრანსს" დაიწყებს. ის დიდებული ათლეტია, რასაც მთელი წლის მანძილზე ამტკიცებს, მაგრამ ამ ეტაპზე მას „ტურზე" მეტი ამბიციები ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით აქვს. ამიტომაც მარკს ყველანაირ დახმარებას გავუწევთ, მის ინტერესს გავითვალისწინებთ და შუა „ტურდეფრანსიდან" გავათავისუფლებთ".

ტურსუნოვს სისულელე ძვირად დაუჯდა

უიმბლდონისთვის მზადება გრძელდება, თუმც უმეტესწილად ეს კორტს მიღმა მოვლენებს შეეხება, რადგან, მოგეხსენებათ, რომ ამ კვირას ბობოლათა უმეტესობა უქმობას ამჯობინებს. ზოგიერთი მათგანი კი უკვე ლონდონშია და იქაურ პირობებს უთავისდება. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მიმდინარე ტურნირები ჩოგბურთის მოყვარულთა ინტერესის ეპიცენტრში არ არის. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტურნირებზე მომხადარი მოვლენები უნდა დავივიწყოთ.

უპირველესად ნოტინჰემში დატრიალებული ამბებით დავიწყებთ, სადაც საკმაოდ საინტერესო რამ მოხდა — დმიტრი ტურსუნოვი ტურნირიდან დაითხოვეს. ასეთი დისკვალიფიკაციები ჩოგბურთში მეტად იშვიათად ხდება, რადგანაც ორგანიზატორებიცა და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებიც ერიდებიან ხოლმე ამდაგვარ სკანდალებს. თუმც რუსმა იმდენი „მოახერხა“, რომ ტურნირიდან მაინც დათხოვეს. თქვენ იკითხავთ, ასეთი რა ქნა ამ ბიჭმაო? რა და ჯერ მსაჯს ეჩხუბა, თვალები გაახილე, ბურთი აუტში იყო, შედეგ კი „სიმართლე“ რომ ვერ დაამტკიცა, გუდა-ნაბადი აიკრა და კორტიდან გავარდა.

ეს ამბავი წყვილთა შეხვედრაში მოხდა — ტურსუნოვი სამხრეთაფრიკელ კრის ჰაგარდთან ერთად იტალიელებს, სიმონე ბოლელისა და ანდრეა სეპის ეთამაშებოდა. რუსულ-აფრიკული დუეტი 6:4 3:1-ს აგებდა, როცა ტურსუნოვი გაცხარდა და კორტი მიატოვა. წესებით კი ჩოგბურთელს რეფერის დაუკითხავად არც ერთ შემთხვევაში არა აქვს კორტიდან გასვლის უფლება. ჰოდა, ამიტომ რუსს და მის მეწყვილეს წაგება ჩაუთვალეს, თანაც ტურსუნოვს ერთეულთა თანრიგში გამოსვლის უფლებაც ჩამოართვეს — საკითხავი ახლა ისაა, რუსს ამას აკმარებენ, თუ უიმბლდონის გარეშეც დატოვებენ.

ტურსუნოვის სისულელით კი გამოცდილმა ტომას იუჰანსონმა იხეირა, რომელმაც ასე ჩოგანმოუქნევლად გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური.

ნოტინჰემში კიდევ ერთ ყურადსაღებ მოვლენად რადეკ შტეპანეკის ტრავმა იქცა, რომელმაც გზა ვინსენტ სპადეას დაუთმო. ჩეხს ნეკნი აწუხებს და მისივე განცხადებით, შანსია, უიმბლდონზე თამაში ვერ მოახერხოს — არადა, ლონდონში ის მე-16 ნომრად გახლდათ განთესილი.

შედარებით სიწყნარე იყო ჰერტფორდშირში, სადაც სათამაშო დღემ ყოველგვარი სკანდალების გარეშე ჩაიარა. თუმც ერთი მოულოდნელობა მაინც მოხდა, როცა ვიქტორ ტროიცკიმ ბალკანურ დერბიში დაჩაგრა ტურნირის მოქმედი ჩემპიონი ივან ლიუბიჩიჩი. უკვე არაერთხელ ვთქვით, რომ ხორვატი წლეულს ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება და ორი-სამი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ტურნირზე საწყის ორ წრეში აგებს. არადა, სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი იყო და ფავორიტთა მარაქაშიც რეგულარულად ერეოდა. თუმც ეტყობა, ეს დრო სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა და ლიუბიჩიჩიც ჩვეულებრივ, უკეთეს შემთხვევაში საშუალო დონის მეჩოგნედ იქცა. აგერ ახლაც თითქოს ახალგაზრდა ტროიცკის მისთვის რა უნდა დაეკლო, მაგრამ სერბმა წაგებული სეტის შემდეგ შეძლო მატჩის ბედის შეტრიალება და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა, სადაც გილერმო კანასს შეხვდება.

ისევ ჰოლანდიაში დავრჩეთ და პარალელურად მიმდინარე ქალთა ტურნირს გადავხედოთ. აქ ჯერჯერობით რუსთა ზეობა შეინიშნება — თანაც ელენა დემენტიევას, დინარა საფინასა და ანა ჩაკვეტაძის დონის მეჩოგნეები აქ ნაღდად არ მოიძებნებიან და თუ სლავებმა თავისით არ აიტეხეს რამე, წმინდად რუსულ ფინალს უნდა ველოდოთ. ამას ერთ ნაბიჯზე უკვე მიუახლოვდა დემენტიევა, რომელმაც ადვილად მიჩოგნა სორანა კირსტეა და ნახევარფინალსაც უწია.

ისტბურნში კი ინტერესს იწვევდა ერთი დღით ადრე ორი სენსაციის მომხდენთა ჯახი — სვეტლანა კუზნეცოვას გამსილაქებელი კაროლინ ვოზნიაკი ამელი მორესმო გამგდებ სამანტა სტოსურს ხვდებოდა. ჩვენში დარჩეს და ეს უკანასკნელი მორესმოს ბევრი არ უწვალებია, რადგანაც მატჩის დაწყებიდან 10 წუთში თეთრი დროშა გამოფინა. ჯერ არავინ იცის, ფრანგს რა აწუხებს, მაგრამ შანსია, უიმბლდონზე არც მან ითამაშოს. სტოსურ-ვოზნიაკის შეხვედრაში კი ავსტრალიელმა დამაჯერებლად დაჩაგრა ახალგაზრდა მეტოქე და ორ სეტში მოუთავა საქმე, 7:6 6:4.

ძახა ლომაჯვილი

განთესილები დაასახელეს

გუშინ უიმბლდონის ორგანიზატორებმა განთესილთა ვინაობა დაასახელეს. კაცთა შორის თავისთავად პირველი ნომერი როჯერ ფედერერს ერგო. ქალთა შორის კი ეს პატივი ანა ივანოვიჩმა დაიმსახურა.

უიმბლდონი საერთოდ იმითაა ცნობილი, რომ ხშირად არ ითვალისწინებს რეიტინგის მონაცემებს და მეჩოგნეებს ძველი დამსახურებებისთვის გამოყოფს ხოლმე. თუმც წლეულს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ორგანიზტორებმა თითქმის მთლიანად დაიცვეს რეიტინგული თანმიმდევრობა. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხებათ.

კაცთა შორის პირველი შვიდი განთესილი იმეორებს რეიტინგის მონაცემებს — ფედერერს მოყვებიან რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ნიკოლაი დავიდენკო, დავიდ ფერერი, ენდი როდიკი და დავიდ ნალბანდიანი. სამაგიეროდ, ადგილები გაცვალეს ჯეიმს ბლეიკმა და რიშარ გასკემ — ფრანგი მეცხრე კი არა, მერვეა. ყველაზე დიდი სხვაობა კი მარკოს ბაღდატისის განთესვაშია — კვიპროსელს მე-10 ნომერი მიაკუთვნეს, მაშინ როცა დღეისთვის რეიტინგში 25-ეა.

ქალთა შორის კი მინიმალური რაოდენობის ცვლილებებია შეტანილი, თანაც პირველი 20 აქ ისევეა განთესილი, როგორი ადგილებიც რეიტინგში უჭირავთ.

ძახა ლომაჯვილი

შაფათავას სტამბოლი გრძელდება

მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი ანა ფლორესის შემდეგ 19 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა სოფო შაფათავამ თავის შვეიცარიელ თანატოლს, კლასიფიკაციის 391-ე ნომერ სტეფანი ბოფასაც მოუგო — 5:7 6:1 6:3 და სტამბოლის მაგარსაფარზე მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა.

ამ ეტაპზე სოფო მე-8 ნომრად განთესილ რუს არინა როდიონოვასა და თურქეთის საუკეთესო ჩოგბურთელ კაგლა ბუიუკაკჩაის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

აი, ნოდარ ითონიშვილისთვს კი უკრაინული ილიჩოვსკის თიხნარზე თამაში მეორე წრეში დასრულდა. მე-3 ნომრად განთესილმა მასპინძელმა დენის მოლჩანოვმა ქართველს უპრობლემოდ, 6:4 6:2 აჯობა.

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

მაკლარენული დილემა: ერთი, მაგრამ რომელი

დღეს „მანი კურის“ ავტოდრომზე საფრანგეთის დიდი პრიზის თავისუფალი პრაქტიკები გაიმართება და ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის, ინგლისურ-გერმანული „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელობას ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, თუ როგორ ტაქტიკას აირჩევს მომავალი რბოლისთვის.

გუნდის წინაშე ნამდვილი დილემაა — ვისზე გააკეთოს აქცენტში ფრანგულ რბოლაში. გასაგებია, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ინგლისელი ლუის ჰემილტონი გუნდის ლიდერია, ჩემპიონობისთვის იბრძვის და „მაკლარენში“ არავის გაუსაჩივრებია მისი პირველობა, ოღონდაც ახლა სულ სხვა სიტუაციაა — წინა, კანადურ ეტაპზე მომხდარი ყბადაღებული ავარიის გამო ჰემი 10 სასტარტო ადგილით დასაჯეს, ანუ „მანი კურზე“ რბოლას კვალიფიკაციაში მოპოვებულზე ათი ადგილით უკან დაიწყებს და რადგანაც, ამ ტრასაზე გასწრება საკმაოდ ძნელია, „მაკლარენის“ შეფები ფიქრობენ, თუ გუნდის მეორე მრბოლი ჰეიკი კოვალაინენი კვალიფიკაციისას კარგ შედეგს აჩვენებს, სწორედ მასზე გააკეთონ აქცენტი.

„ერთადერთი რაც ვიცით ის არის, რომ შეგვეძლება ოპტიმალური სტრატეგია მხოლოდ ერთი ბოლიდისთვის შევარჩიოთ. ამიტომაც, ამჯერად ჩვენი სამუშაო ჩვეულებრივისგან საკმაოდ განსხვავებული იქნება — განაცხადა „მაკლარენ-მერსედესის“ მმართველმა დირექტორმა მარტინ უიტმარშმა და დაამატა — მიუხედავად ყველაფრისა, იმედი გვაქვს, რომ ორივე მანქანის პოტენციალს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. ლუისიცა და ჰეიკიც დარწმუნებულნი არიან საკუთარ შესაძლებლობებში და უზარმაზარი სამუშაოს გაწევა მოგვიწეს, მათ ორივეს მაქსიმალურად კარგი სარბოლო პირობები შევუქმენით“.

კოვალაინენი მართლაც ოპტიმისტურად არის განწყობილი. თითქოს იგრძნო, რომ გუნდი მასზე აპირებს აქცენტის გაკეთებას, ფინელმა მრბოლმა ბრძანა: „ყოველთვის მომწონდა ეს ტრეკი. თანაც მე უკვე მივეჩვიე მანქანას და ვფიქრობ, რომ საფრანგეთში შედეგიც მექნება. სატურნირო ცხრილში ხშირად არ ვიყურები. ისედაც ვიცი, რომ ჯერჯერობით უკან ვარ, მაგრამ ამ ჯერზე სულ სხვა განწყობით, კარიერაში პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად გავალ ტრასაზე“.

თავის მხრივ, ხელების ჩამოშვებას არც ჰემილტონი აპირებს. „მანი კურის“ ტრასაზე გასწრება ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. თანაც აქ ძალიან მოკლე პიტ-ლაინია და ამის გამოყენებაც შეიძლება. მჯერა, რომ საფრანგეთში ძალიან ძლიერები ვიქნებით და შანსი მეც მექნება“ — განაცხადა ინგლისელმა.

ძახა ლომაძე

ჰეიკი კოვალაინენი საფრანგეთში გამარჯვებისთვის იბრძოლებს

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		აშშ. MLS						
		21 ივნისი						
23:30	376	ტორონტო-კანზასი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		22 ივნისი						
03:30	377	ნიუ იორკი-დალასი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
05:30	379	სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
06:30	380	ლოს ანჯელესი-კოლამბუსი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
23:00	381	ვაშინგტონი-სან ხოსე	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
		არგენტინა. კლაუსურა						
		21 ივნისი						
23:10	383	ხიმნასია ლპ-ლანუსი	2.25	3.15	2.75	1.31	1.23	1.46
04:15	384	არგენტინოს ხუნიორსი-როსარიო	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
		22 ივნისი						
23:20	385	ოლიმპო-ესტუდიანტესი	2.50	3.10	2.45	1.38	1.23	1.36
21:10	386	ბანფილდი-რივერ პლეიტი	2.70	3.15	2.30	1.45	1.24	1.32
23:20	387	კოლონი-რასინგი	2.00	3.15	3.25	1.22	1.23	1.59
01:20	388	ნიუელზი-სან მარტინი	1.55	3.45	5.35	1.06	1.20	2.09
04:10	389	ინდეპენდიენტე-არხენტინოს	1.55	3.45	5.25	1.06	1.19	2.08
23:20	390	ხიმნასია ჯ-სან ლორენსი	2.50	3.15	2.50	1.39	1.25	1.39
01:20	391	ურაკანი-ველეზი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		23 ივნისი						
01:30	382	ბოკა ხუნიორსი-ტიგრე	1.40	3.70	7.15	1.01	1.17	2.43
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		22 ივნისი						
01:20	392	ბოტაფოგო-პორტუგესა	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
01:20	393	სან პაულუ-სპორტ რისიფე	1.55	3.40	6.20	1.06	1.24	2.19
01:20	394	კრუზეირო-ფიგეირენსე	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
23:00	395	იპატინგა-ფლამენგო	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
23:00	396	ვიტორია-ინტერნასიონალი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
03:30	397	ვასკუ და გამა-პალმეირასი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
01:20	400	კურიტიბა-ფლუმინენსე	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
		23 ივნისი						
01:10	398	გრემიო-ატლეტიკო პრ	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
01:10	399	ნაუტიკო-ატლეტიკო მნ	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
01:10	401	სანტოსი-გოიასი	1.55	3.40	6.20	1.06	1.24	1.93

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		FIFA. მნ 2010 შესარჩევი მატჩები						
		20 ივნისი						
17:00	549	ეთიოპია-მავრიტანია	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
22:30	634	ალჟირი-გამბია	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
22:00	635	ლიბია-ლესოტო	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
		21 ივნისი						
17:00	637	სიერა-ლეონე	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
22:00	640	მაროკო-რუანდა	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
23:30	643	ხენეგალი-ლიბერია	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
		22 ივნისი						
12:00	539	ავსტრალია-ჩინეთი	1.35	4.00	7.50	1.00	1.14	2.60
14:20	540	იაპონია-ბაჰრეინი	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
15:00	541	სამხ.კორეა-ჩრდ.კორეა	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
18:00	542	ომანი-ტაილანდი	1.50	3.60	5.55	1.05	1.18	2.18
19:00	543	იორდანია-თურქმენეთი	1.52	3.60	5.50	1.06	1.19	2.17
19:30	545	ირანი-კუვეიტი	1.30	4.20	7.80	1.00	1.11	2.73
20:00	546	ხაზაროეთი-სირია	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:00	547	ერაყი-ყატარი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
22:00	548	ს.არაბეთი-უზბეკეთი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
17:00	550	მიანმარი-მადაგასკარი	1.80	3.25	3.85	1.15	1.22	1.76
17:00	551	ზიმბაბვე-კენია	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:30	553	ანგოლა-უგანდა	1.55	3.55	5.55	1.07	1.21	2.16
18:30	554	კონგო-ზაირი	1.42	3.90	5.80	1.04	1.14	2.33
19:00	555	ბენინი-ნიგერი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
20:00	556	კოტ დიფარი-ბოტსვანა	1.10	6.50	14.00	1.00	1.01	4.43
21:00	557	განა-გაბონი	1.15	5.85	12.00	1.00	1.04	3.93
21:00	558	გვინეა-ნამიბია	1.50	3.55	5.25	1.05	1.16	2.11
21:00	559	კაბუვერდე-მავრიტიუსი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:00	560	მალი-სუდანი	1.30	4.20	7.50	1.00	1.10	2.69
22:00	561	ეგვიპტე-მალავი	1.22	5.10	9.00	1.00	1.07	3.25
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		20 ივნისი						
22:45	25	ხორვატია-თურქეთი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
		21 ივნისი						
22:45	28	ჰოლანდია-რუსეთი	1.70	3.40	5.20	1.13	1.28	2.05

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივნისი						
22:45	27	ესპანეთი-იტალია	2.65	3.00	2.75	1.40	1.34	1.43
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		20 ივნისი						
22:45	368	კორკი-კობი	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
22:45	369	დროგედა-დერი	2.10	3.10	3.35	1.25	1.29	1.61
22:45	370	სტ.პატრიკი-ბრეი	1.55	3.40	5.85	1.06	1.22	2.15
23:00	372	შელბორნ-გალვეი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		21 ივნისი						
22:45	373	სლიგო-დუბლინი	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
		ფრენბურთი. კაცები. მხოლოდ ლიგა						
		20 ივნისი						
16:00	520	ჩინეთი-ჰონლინეთი.	2.80	1.30				
21:00	521	ეგვიპტე-იაპონია	2.00	1.60				
22:30	522	საფრანგეთი.-ბრაზილია	2.40	1.45				
		21 ივნისი						
04:40	524	კუბა-რუსეთი.	1.80	1.80				
09:00	525	სამ კორეა-იტალია.	4.50	1.12				
		22 ივნისი						
01:30	527	ვენესუელა-სერბეთი	2.80	1.30				
		ფრენბურთი. კაცები. ევროპის ლიგა. ბელარუსი						
		20 ივნისი						
17:00	528	გერმანია.-ავსტრია..	1.01	10.00				
19:30	529	ბელარუსი-თურქეთი..	1.70	1.90				
		ფრენბურთი. ქალები. მხოლოდ გრან პრი. იტალია						
		20 ივნისი						
19:30	532	კუბა-ჰონლონეთი	1.30	2.80				
22:00	533	იტალია-დომენ. რეპუბ	1.04	6.50				
		ფრენბურთი. ქალები. მხოლოდ გრან პრი. ჩინეთი						
		20 ივნისი						
11:00	534	ბრაზილია-ტაილანდი	1.01	12.00				
15:30	535	ჩინეთი-გერმანია	1.12	4.30				
		ფრენბურთი. ქალები. მხოლოდ გრან პრი. იაპონია						
		20 ივნისი						
10:00	536	აშშ-თურქეთი	1.15	3.80				
13:30	537	იაპონია-ყაზახეთი	1.04	6.50				

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10025	ხორვატია-თურქეთი	2.30	2.00	4.00	1.06	1.46	1.33
10028	ჰოლანდია-რუსეთი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10027	ესპანეთი-იტალია	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11025	ხორვატია-თურქეთი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11028	ჰოლანდია-რუსეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11027	ესპანეთი-იტალია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60

ზუსტი ანგარიში

47025	ხორვატია-თურქეთი	0:1	9.00
47025	ხორვატია-თურქეთი	3:1	12.00
47025	ხორვატია-თურქეთი	1:0	5.00
47025	ხორვატია-თურქეთი	3:2	15.00
47025	ხორვატია-თურქეთი	0:0	8.00
47025	ხორვატია-თურქეთი	2:2	16.00
47025	ხორვატია-თურქეთი	0:2	15.00
47025	ხორვატია-თურქეთი	2:1	6.00
47025	ხორვატია-თურქეთი	0:3	40.00
47025	ხორვატია-თურქეთი	2:0	5.50
47025	ხორვატია-თურქეთი	2:3	25.00
47025	ხორვატია-თურქეთი	1:3	30.00
47025	ხორვატია-თურქეთი	3:0	10.00
47025	ხორვატია-თურქეთი	1:1	7.50
47025	ხორვატია-თურქეთი	1:2	14.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
20025	ხორვატია-თურქეთი	10,5	1.90	1.70

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31025	ხორვატია-თურქეთი	1.90	1.90

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32025	ხორვატია-თურქეთი	1.60	2.00

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
36025	ხორვატია-თურქეთი	5,5	1.80	1.80

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21025	ხორვატია-თურქეთი	3.00	1.20

რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40025	ხორვატია-თურქეთი	2.10	4.00	1.80

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
24025	ხორვატია-თურქეთი	4,5	1.80	1.60

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
35025	ხორვატია-თურქეთი	1.90	1.90

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33025	ხორვატია-თურქეთი	2.20	1.55

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
34025	ხორვატია-თურქეთი	5,5	1.60	2.00

კუთხურები: წყვილი-1 თუ კენტი-2 (ძირ დრო)

		1	2
48025	ხორვატია-თურქეთი	1.85	1.85

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
22025	ხორვატია-თურქეთი	1,5	1.25	2.35

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49025	ხორვატია-თურქეთი	კი	3.00

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39025	ხორვატია-თურქეთი	კი	3.10

პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

43025	ხორვატია-თურქეთი	კი	3.50

პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

			კი	არა
23025	ხორვატია-თურქეთი		1.15	2.15
23027	ესპანეთი-იტალია		1.47	1.48

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19025	ხორვატია-თურქეთი	2.10	2.60	3.50	1.16	1.31	1.49

იქნება გაძევება(ძირ. დრო)

37025	ხორვატია-თურქეთი	კი	3.30

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16025	ხორვატია-თურქეთი	1.34	2.80
16028	ჰოლანდია-რუსეთი	1.24	3.60
16027	ესპანეთი-იტალია	1.85	1.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15025	ხორვატია-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15028	ჰოლანდია-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15027	ესპანეთი-იტალია	3.00	2.80	2.00

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17025	ხორვატია-თურქეთი	1.85	1.95
17028	ჰოლანდია-რუსეთი	1.85	1.95
17027	ესპანეთი-იტალია	1.85	1.95

რომელი გუნდი გავა 1/2 ფინალში

		1	2
18025	ხორვატია-თურქეთი	1.42	2.50
18028	ჰოლანდია-რუსეთი	1.35	3.00
18027	ესპანეთი-იტალია	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14025	ხორვატია-თურქეთი	1.70	2.20
14028	ჰოლანდია-რუსეთი	1.45	2.40
14027	ესპანეთი-იტალია	1.90	1.90

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12025	ხორვატია-თურქეთი	2,5	1.55	2.10
12027	ესპანეთი-იტალია	2,5	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13025	ხორვატია-თურქეთი	1.90	1.70

შესაძლო ცვლილებები დაუზუსტეთ ადგილზე

მილანს ხელები აუწევია

რონალდინიოსთვის ბრძოლაში ყველაზე აქტიურად „მანჩესტერ სიტი“ და „მილანი“ გახლავან ჩაბმულები. ხან ერთი აუწევს ფასს, ხან მეორე და აი, ბოლო ცნობაც: ინგლისურმა გუნდმა „მილანს“ სერიოზული დარტყმა მიაყენა — მასთან ყოფნის სამწლიან პერიოდში ხელფასად თითქმის 30 მილიონ გირვანქას ჰპირდება. სხვა სიტყვებით, „ბარსელონადან“ მიმავალი ვარსკვლავის ყოველკვირეული ჯამაგირი 180 ათასი გირვანქის ტოლი იქნება.

„მილანის“ ვიცე პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ამის გაგონებაზე ასეთი რამ განაცხადა:

„ასეთ რიცხვებს აშკარად ველარ გამოვეკიდებით. სამწუხაროდ, ვერსად გავექცევი ფაქტს, რომ იტალიური საფეხბურთო მეურნეობა დღეს მეოთხე პოზიციაზეა: ინგლისისას, ესპანეთისას და გერმანიისას ჩამორჩება.

თანხა, რომელიც „მანჩესტერ სიტიმ“ რონალდინიოს შესთავაზა, წელიწადში 9,5 მილიონ გირვანქას შეადგენს. ამას კონკურენციას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუწევთ, „ბარსელონა“ სატრანსფერო თანხას თუ აღარ მოითხოვს და რონალდინიოს თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვებს“.

და „სიტის“ არ აწუხებს სატრანსფერო თანხა, რომელიც ხელფასის მიღმა, „ბარსასთვის“ აქვს გადასახდელი?

როგორც ჩანს, მაინცდამაინც არა, რადგან მანჩესტერელთა ტაილანდელ მეპატრონეს, თაქსინ შინავატრას კატალონიელთა დასაკმაყოფილებლად ცალკე 20 მილიონი გირვანქა აქვს გადადებული.

შეგახსენებთ, რაც „მანჩესტერ სიტის“ სათავეში ტაილანდის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ფეხბურთელების ყიდვაში უკვე 50 მილიონი გირვანქა დახარჯა.

ასე და ამგვარად, „სიტიმ“ რონალდინიოს პრემიერლიგის უდიდესი ხელფასი შესთავაზა, მანამდე კი რეკორდსმენები „მანჩესტერ იუნაიტედის“ რიო ფერდინანდი და „ჩელსის“ ჯონ ტერი არიან. ორივეს კვირაში 130 ათასი გირვანქა აქვს.

დაკვირდით, რომ ინგლისის ორივე ყველაზე მაღალანაზღაურებიანი ფეხბურთელი მცველია?

პაპუნა კედია

კიდევ ორწლიანი სილურჯე



ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატიდან გავარდნის მიუხედავად გუნდის დატოვებას არ აპირებს.

ისე კი, ევრო 2008-ზე ფრანგებმა მართლა საშინლად ითამაშეს: უსახური 0:0 რუმინელებთან, განადგურდნენ ჰოლანდიელებთან 1:4 და წააგეს იტალიასთან 0:2. თან, იტალიელებთან მეორე გოლი „ლურჯების“ კარში ანრის „მონაწილეობით“ გავიდა — დე როსის დარტყმული ჯარიმა ანრიმ აისხლიტა და ფრანგთა მეკარე გრეგორი კუპე მოტყუებული დატოვა.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ხსენებული მარცხის მეორე დღეს ორმა ფრანგმა ფეხბურთელმა, კლოდ მაკელელემ და ლილიან ტურამმა სანაკრებო ფეხბურთთან გამოთხოვება გამოაცხადეს, მაგრამ ანრი მათ არ შეუერთდა და გადაწყვიტა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე განაგრძოს საერთაშორისო კარიერა.

ცნობისათვის: ტიერი ანრის საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში 102 თამაშში 45 გოლი აქვს გატანილი. „ბარსელონას“ ფორვარდი აგვისტოში 31 წლისა გახდება.

„იტალიასთან დამარცხება ჩემს მომავალს ვერანაირად ვერ შეცვლის — განაცხადა ვარსკვლავმა — ნაკრებიდან წასვლის იდეამ ერთი წამით კი გამიელვა თავში, მაგრამ მერე აზრი ვიცვალე, რადგან ვიცი, რაც ხდება. მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ადამიანს ასე ჰგონია, დამარცხებაში მარტო მწვრთნელი არ არის დამნაშავე, ჩვენ ყველამ ერთად წავაგეთ. განა სწორედ ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით არ გავედით მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალში?“

როგორც ამბობენ, ბოლო დღეებში, საფრანგეთის ნაკრებში ვერც ურთიერთობები იყო მთლად დალაგებული. თურმე არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, როგორ ჩხუბობენ ჰოლანდიასთან წაგების შემდეგ პატრიკ ვიეირა და პატრის ევრა. ფრანგ მიმომხილველთა დიდი ნაწილი კი მართლა დარწმუნებულია, რომ გამოსავალი რაიმონ დომენეკის თანამდებობიდან წასვლაშია.

ზოგი ამბობს, რომ დომენეკს ნაკრებში დარჩენა თავადაც არ უნდა — იტალიასთან მარცხის შემდეგ მას თავისი ტელეწამყვანი გელფრენდისთვის ცოლობა უთხოვია... დაირხა ხმები, რომ საფრანგეთის ნაკრების მომდევნო მწვრთნელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დიდიე დეშანი იქნება.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ანრის, რომელიც ფიქრობს, რომ ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების წარუმატებლობა უიღბლობამაც განაპირობა. მაგალითად, იტალიელებთან შეხვედრის მე-10 წუთზე ფრანკ რიბერი დაშავდა, 25-ეზე კი ერიკ აბიდალი გააძევეს მოედნიდან.

„რამდენიმე მომენტზე გული გვწყდება, ყველაზე მეტად კი პენალტსა და გაძევებაზე. მას მერე, რაც ათნი დავრჩით, ძალიან გაგვიჭირდა. მეორე გოლის დროსაც გვიმტყუნა ფორტუნამ, ჩვენს კარში ასხლეტილი ბურთი შევარდა. ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ ეს საბედისწერო მატჩი გახლდათ. რიბერის დაშავებამ, პენალტმა და გაძევებამ მისია შეუსრულებლად აქცია. ერთი სიტყვით, ჩავფლავდით. ფინალში წაგებ თუ ჯგუფში ჩარჩები, სულერთია“.

პაპუნა კედია

მამა აფრიკას მეოთხე უქმეები

ნიგერიის ნაკრები იმედოვნებს, რომ ნვანკვო კანუ და ჯონ ობი მიკელი შაბათისთვის გამოჯანმრთელდებიან, რათა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების პირველი ფაზა დაძლიონ.

ნიგერიელებმა გასულ უქმეებზე მეოთხე ჯგუფში ეკვატორულ გვინეას მოუგეს 1:0, მაგრამ იმ შეხვედრაში ზემოთ ნახსენებ, ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე წყვილს მონაწილეობა არ მიუღია. ხვალ, აბუჯაში საპასუხო მატჩია და „სუპერარწივების“ თავკაცი, შაიბუ ამოდუს ავადმყოფთა ფეხზე დაყენება სჭირდება.

„კანუ პირველი შეხვედრის წინ გაცივებული იყო, ობი მიკელს კი სიცხემ აუწია“ — განმარტა შაიბუ ამოდუმ.

საქმე ის არის, რომ ნიგერიას შესარჩევი შეჯიბრების პირველი ეტაპი არასდროს ჩაუგდია და ახლაც მეორე ეტაპის 20 გუნდს შორის აპირებს ადგილის დამკვიდრებას.

ჯერჯერობით ჩინებული შედეგი აქვს ბურკინა ფასოსაც. ბურკინაფასოელებს იოლად შეუძლიათ პირველი ბარიერის გადალახვა, რისთვისაც მეცხრე ჯგუფში სეიშელის კუნძულებს უნდა სძლიონ. პორტუგალიელი თავკაცის, პაულუ დუარტეს ხელმძღვანელობით, ისინი მიმდინარე შესარჩევ კამპანიაში საუცხოოდ ასპარეზობენ. პირველ შეხვედრაში თვით ტუნისსაც კი მოუგეს.

ტუნისის ხსენებაზე... პირველი მარცხის შემდეგ ამ გუნდმა ზედიზედ ორი თამაში მოიგო და კვირას ბურუნდის ძლევაც არ უნდა გაუჭირდეს. აღსანიშნავია, რომ ეს იქნება ცნობილი ფრანგი სპეციალისტის, როჟე ლემერის ბოლო მატჩი ტუნისელთა თავკაცის პოსტზე. მომავალი თვიდან მან მაროკოს ეროვნული გუნდი უნდა ჩაიბაროს.

ბურკინა ფასოს დარად, სამი თამაშიდან სამი მოგებით მიდის რუანდაც, ოღონდ მას, შაბათს, კასაბლანკაში დიდი ჯახი ელის — პირველ შეხვედრაში მაროკოელებს 1:3 აქვთ წაგებული და ახლა ამ ჩამორჩენას გამოსწორება სჭირდება.

შესაბამისად, ტუნისელთა კვირის შეხვედრას დაესწრება ლემერის შემცვლელი უმბერტუ კოელიუ, რომელმაც ევრო 2008-ზე სატელევიზიო ანალიტიკოსის საქმე მიატოვა.

სულ კი „შავი კონტინეტი“ 23 შეხვედრის მოლოდინშია — აფრიკის შესარჩევი კამპანია ზედიზედ მეოთხე უქმეებს მიადგა. გაგრძელება კი სექტემბერში იქნება.

პაპუნა კედია

კალჩოპოლის აჩრდილი

ტურინის „იუვენტუსმა“ 400 ათასი ევრო მორიგი ჯარიმის სახით გადაიხადა. საქმე ის არის, რომ კალჩოპოლის სკანდალის პიკმა გადაიარა, მაგრამ გამოძიება გრძელდება და ეს პროცესი, შესაძლოა, ძალიან გაწელილიყო. ამიტომ, „ბებერმა ქალბატონმა“ ამ ტანხის გადახდა გადაწყვიტა.

სხვათა შორის, ამ ფულს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ახალგაზრდების განვითარებასა და სწავლას მოახმარს.

„ეს დანაშაულის აღიარება კი არა, ქველმოქმედებაა“ — განაცხადა „იუვენტუსის“ ექსპრეზიდენტმა და ამჟამად ადვოკატმა ფრანცო გრანდე სტივენსმა.

პარალელურად, შედარებით მცირე ფულადი ჯარიმა დაეკისრა „მესინასაც“. გარდა ამისა, კლუბის პრეზიდენტი პიეტრო ფრანცა და ყოფილი დირექტორი მარიო ბონსინორე ექვსთვიანი დიკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

ყოფილმა მსაჯმა რომეო პაპარესტამ სიმბოლური სასჯელი, ოცწუთიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ჯანლუკა პაპარესტას კი ახალი, ორთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდა მოუწევს.

ლუჩანო მოჯისთვის, „მესინას“ ყოფილი დირექტორის მარიანო ფაბიანისთვისა და 8 მსაჯისთვის, რომელთა შორის ყველასათვის კარგად ცნობილი ტიციანო პიერი, სალვატორე რაკალბუტო და მასიმო დე სანტისიც არიან, ჯერ არაფერი დამთავრებულა, გამოძიება გრძელდება...

მცირე ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს სერია A-ს რამდენიმე კლუბი. საქმე ფეხბურთელთა ფასების გაყალბებასა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ეხება.

ამის გამო, „ჯენოას“, „უდინეზესა“ და „რევჯინას“ 400-400 ათასი ევროს გადახდა მოუწევთ. „მილანი“ და მისი თანაქალაქელი „ინტერი“ 90-90 ათასს გადაიხდიან, „სამპდორია“ კი 36 ათასს.

გიორგი ქაცაბაძე

ფილი ძალიან შეუყვარდებათ

კრიშტიანუ რონალდუს

ფასი ლუიშ ფელიპე სკოლარიმ წარმოუდგენლად გაზარდა — წერს ინგლისური პრესა და ჩვენც, მოდი მის ლოგიკას მივყვეთ. თუმცა, ჯერ ისა ვთქვათ, თუ სად აქო და ადიდა ასე ძალიან პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა პორტუგალიისავე ნაკრების ფეხბურთელი. სად და ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე — გუშინ სკოლარის ბიჭები გერმანელებს ეთამაშნენ და ეს ამბავი „სარბიელის“ სხვა გვერდზეა განხილული, ჩვენ კი, მოდი, ბრაზილიელის პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ.

მაშ ასე, როგორც ინგლისური პრესა წერს, ამ პრესკონფერენციის შემდეგ, რონალდუს ფასი უკვე 100 მილიონზე მეტია, მაგრამ, მეორე მხრივ, „რეალს“ მისი შეძენის სურვილი ამიერიდან ერთიორად დაწვავს. პრესკონფერენცია, რომელზეც გიამბობთ, სკოლარის ფრიად ემოციურად და ტრაბახით ჩაუტარებია, რის ბოლოსაც ერთ-ერთ ჟურნალისტს უკითხავს, რონალდუს საიდუმლო მაინც რა არისო.

„რონალდუს საიდუმლო ყველას კარგად მოეხსენება — უპასუხა პორტუგალიელთა თავკაცმა, რომელიც 1 ივლისიდან „ჩელსის“ ჩაუდგება სათავეში — ეს მისი მოკრძალება და შრომისმოყვარეობაა. იგი უკიდურესად ერთგულია გუნდისა, რომელშიც თამაშობს და აქვს გამარჯვების ისეთი ლტოლვა, რომლის მაგვარიც პირადად მე არასდროს მინახავს. გუნდის დანარჩენი ფეხბურთელები მისი ამ ლტოლვით იკვებებიან და ისინიც დამუხტულები გადიან მოედანზე თამაშების მოსაგებად. და ამ ყველაფრის გარდა, ის საოცრად ტექნიკურია, მგონი ყველაზე ტექნიკურთაგანი“.

როგორ გგონიათ, ასეთი ნათქვამი არ გაუღვივებდა „რეალს“ რონალდუს შეძენის სურვილს კიდევ უფრო მეტად? და, როგორ ფიქრობთ, მისი „რეალში“ გადასვლა არ დაუსუსტებს „ჩელსის“ კონკურენტს, „მანჩესტერ იუნაიტედს“?

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ასეთი ჭკვიანური პრესკონფერენციებით სკოლარი ძალიან აგონებთ ლონდონელთა ადრინდელ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლარის „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდი სიყვარული გარანტირებული აქვს.

ბრიტანელმა მიმომხილველებმა შეატყვეს, რომ დიდ ფილს მაურინიუს დარად სხარტი და სიტუაციასთან წამებში მორგებული იუმორი აქვს. ყურადღებამისაქცევი გახლდათ ისიც, რომ ინგლისელთა კითხვებს ის ყურთსასმენების გარეშე ისმენდა, თუმცა თარჯიმანი ეხმარებოდა.

„თავად მიკვირს, რა კარგად მცოდნია ინგლისური“ — იხუმრა პორტუგალიელების მწვრთნელმა.

პრესკონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტი გახლდათ ის, როდესაც დიდ ფილს მის მომავალ ფეხბურთელზე, გერმანელ მიხაელ ბალაკზე ჰკითხეს — შეგახსენებთ, რომ სკოლარის გუნდი სწორედ გერმანელებთან შესახვედრად ემზადებოდა. პასუხი მეტად თეატრალური გამოვიდა: სკოლარიმ თითი აღმართა (ერთ წუთს მოითმინეთო) და ვითომ ჯიბეში დაიწყო ქექვა. გარკვეული ხნის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა რაღაც ფურცელი მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა:

„ბერტეზაკერი, ნომერი 17, ერთი მეტრი და ოთხმოცდათვრამეტი სანტიმეტრი; ბალაკი, ნომერი 13, მეტრი და ოთხმოცდარვა; კლოზე, მეტრი და ოთხმოცდაორი; მეცელდერი, მეტრი და ოთხმოცდათოთხმეტი... ჩემი მოთამაშეები კი ყველანი 115 ან 120 სანტიმეტრი არიან. აი, ეს მაწუხებს ახლა ყველაზე მეტად. ამის წინააღმდეგ რამე უნდა მოვიფიქრო, განსაკუთრებით სტანდარტული მდგომარეობების დროს. უნდა შევქმნა სიტუაცია, როდესაც მეტოქის სიმაღლეს პირწმინდა ოსტატობით გადავფარავთ და ეს, მერწმუნეთ, შესაძლებელია“.

შეძლეს თუ არა ეს პორტუგალიელებმა, ამ სტატიის მკითხველს კარგად მოეხსენება.

პაპუნა კედია

ბულარუზების ტრაგედია

ჰოლანდიის ნაკრების მცველმა ხალიდ ბულარუზმა თავისი გუნდის საწვრთნელი ბანაკი დატოვა. მიზეზი ოჯახური ტრაგედიაა.

ფეხბურთელის ფეხმძიმე ცოლი სამშობიარო გართულებების გამო ჰოსპიტალში მოათავსეს. ბულარუზის ნაადრევად დაბადებული ქალიშვილი მეორე დღესვე გარდაიცვალა...

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები უპასუხოდ ტოვებენ კითხვას, დაბრუნდება თუ არა ხალიდ ბულარუზი მარკო ვან ბასტენის განკარშულებაში რუსებთან მეოთხედფინალში სათამაშოდ.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შუსარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა. VI ტური

ეკვადორი 0:0 კოლუმბია

ბრაზილია 0:0 არგენტინა

ვენესუელა — ჩილე გუშინ

	გვიან	დასრულდა				
პარაგვაი	6	4	1	1	13:5	13
არგენტინა	6	3	2	1	9:3	11
კოლუმბია	6	2	4	0	4:2	10
ბრაზილია	6	2	3	1	8:4	9
ურუგვაი	6	2	2	2	15:6	8
ვენესუელა	5	2	1	2	7:7	7
ჩილე	5	2	1	2	6:7	7
ეკვადორი	6	1	2	3	7:13	5
ბოლივია	6	1	1	4	7:17	4
პერუ	6	0	3	3	3:15	3

აშშ

მეიჯორლიგა. XIV ტური

ნიუ ინგლენდი 1:1 ნიუ იორკი

სოლტ ლეიკი 0:0 სან ხოსე

სევილიელი ნავარო

„სევილიამ“ „მალიორკასგან“ ფერნანდო ნავარო იყიდა. გავრცელებული ცნობით, მარცხენა მცველი, რომელიც მოომავალ კვირაში 26 წლის გახდება, 5 მილიონი ევრო დაჯდა. მან თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიმდინარე ზაფხულში ეს სევილიელთა მხოლოდ მეორე შენაძენია, არგენტინელი ნახევარმცველის ლაუტარო აკოსტას შემდეგ.

მალაგას ტაპია დაუბრუნდა

პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „მალაგას“ ახალი მწვრთნელი ანტონიო ტაპია გახდა. მან პოსტზე ხუან რამონ მუნისი შეცვალა, რომელმაც „რასინგში“ გადაბარგება გადაწყვიტა. ტაპიას უკვე უმუშავია „მალაგაში“, მაგრამ 2005-2006 წლების სეზონში მას მერე დაითხოვეს, რაც კლუბმა 9 მატჩში მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა.

პიატი ალმერიაში გადავიდა

იმედისმომცემი არგენტინელი ფორვარდი პაბლო პიატი „ესტუდიანტესიდან“ ესპანურ „ალმერიაში“ გადავიდა და კლუბთან შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 19 წლის ფეხბურთელისთვის ბრძოლაში „ალმერიამ“ „იუვენტუსსა“ და „მანჩესტერ სიტის“ აჯობა. ტრანსფერის ფინანსური მხარე არ ხმაურდება.

რიისე გარომაელდა

იონ არნე რიისე უკვე ოფიციალურად „რომას“ ფეხბურთელია. როგორც მოსალოდნელი იყო, მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს. ნორვეგიელმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ბლადიატორებმა“ კი „ლივერპულს“ 5 მილიონი ევრო გადაუხადეს. 27 წლის ფეხბურთელს მერსისაიდელთა რიგებში 300-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, „ენფილდზე“ იგი 2001 წელს „მონაკოდან“ გადავიდა, მაგრამ ბოლო დროს გუნდის ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა.

სხვათა შორის, გავრცელებული ცნობებით, „რომა“ ტრანსფერზე დაყენებული „ლივერპულის“ კიდევ ერთი ფეხბურთელის, ჰარი კიუელის შეძენაზეც ფიქრობს.

ნასრი და მეთოფეები

ალარ დაადგა საშველი სამძრ ნასრის „არსენალში“ გადასვლას. თუმცა, ბრიტანული პრესის ბოლო ინფორმაციით, მხარეებმა შეთანხმება შეძლეს. „მეთოფეები“ ფრანგულ „მარსელს“ 13,5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველთან კი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებენო.

ნიუკასლური ამბები

მაიკლ ოუენმა „ნიუკასლთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება დაიწყო. ყველაფერი ალბათ 1-2 კვირაში მოგვარდება. „კაჭკაჭების“ კიდევ ერთი ფორვარდი შოლა ამეობი კი „ნორვიჩში“ გადადის. მის სანაცვლოდ გუნდი 3,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამასობაში, „ნიუკასლის“ პრეზიდენტის პოსტი დატოვა კრის მორტიმ. მისი თქმით, კლუბში ნამდვილი პროფესიონალები მოვიდნენ და საქმიანობა მათ უნდა გააგრძელონ, მე კი ადვოკატობას განვაგრძობო.

გრანტი ტვენტეში?

ლონდონის „ჩელსიდან“ წასული ავრაამ გრანტი, შესაძლოა, მალე ჰოლანდიური „ტვენტეს“ მწვრთნელი გახდეს. ენსხედელებმა 53 წლის სპეციალისტის მოწვევა მას მერე გადაწყვიტეს, რაც ინგლისის ნაკრების ექსთავკაცის სტივ მაკლარენისგან უარი მიიღეს. თავის მხრივ, მაკლარენი, სავარაუდოდ, „ბლექბერნში“ გააგრძელებს კარიერას.

ჩელსის ალბელდა უნდა

ლონდონის „ჩელსის“ იმედი აქვს, რომ „ვალენსიას“ 30 წლის ნახევარმცველ დავიდ ალბელდას თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაიგდებს ხელში. თუმცა, „სტემფორდ ბრიჯის“ ბინადართა მოცილე თანაქალაქელი „ტოტენჰემი“. შეგახსენებთ, რომ ალბელდას „ღამურების“ ყოფილ მწვრთნელ რონალდ კუმანთან უთანხმოება მოუვიდა და მას მერე კლუბში საქმეები აერ-დაერია.

ლივერპული დიარას უმიზნებს

ინგლისურ „ლივერპულს“ მიზანში „პორტსმუთის“ ნახევარმცველი ლასანა დიარა ამოუღია. მერსისაიდელები მასზე მას მერე გადაერთვნენ, რაც „ასტონ ვილამ“ გარეთ ბერის კაპიკი არ დააკლო — ბირმინგემელები 28 მილიონ ევროს ითხოვდნენ. ამბობენ, გამორიცხული არ არის, „ლივერპულმა“ 23 წლის ფრანგი პიტერ კრაუჩში გაცვალოსო.

მილანური ინტერესები

ამბობენ, „მილანი“ ადრიან მუტუსთვის ბრძოლაში ჩაერთოო. „ფიორენტინას“ რუმინელ ლიდერს არაერთი მსურველი ჰყავს, გერმანული „შალკეს“ თამადობით. თურმე, „როსონერი“ მზად არის, მასში 11 მილიონი ევრო გადაიხადოს და პლუს „იებს“ დარიო შიმიჩი და მასიმო ოდო დაუთმოს. გარდა ამისა, „მილანს“ თვალი დაუდგამს პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველის მიგელ ველოზუსთვისაც, ვისაც გენუის „სამპდორიაც“ იწვევს.

კოკი კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოკლიშტირი

1X2 ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— რა ნაცნობი სიფათი გაქ, ტო! თუ გინდა, გაგიმაზავ, შენ ისა ხარ, შვედების 4:0 მოგება რო გეწერა რუსებთან.

— რაზე მატყობ?

— შუბლზე გაწერია. ეტყობა, პოსლე მატჩა მაგიდაზე დადებულ ბილეთს თავს ურტყამდი და კრასკა გადაგსვლია, დაჟე ბეჭედიც იავნად ჩანს. თან ორი დღეა, პირიც არ დაგიბანია.

ამხელა კაცი ხარ, „ნოუ კამპივით" შუბლი გაქ და რუსების წაგება რამ დაგაწერინა ტო? ფუტბოლი არ იცი, როჟა მაინც დაიბანე.

— აუ, რა მაგრა მივქარე, იცი? წყლის ფული წავაგე.

ერთი კვირის წინ გადაგვიკეტეს დავალიანების გამო. ჩემმა ძმამ ოთხშაბათს მაყუთი გამატანა ბანკში გადასახდელად, მე კიდე ოცკუშიანი ეშმაკი შემხვდა გზაზე.

მეთქი, რონალდუს ფინტები, რამე, პადსებია, იქნებ, როგორმე აუარო გვერდი, მარა, მაინც ვერ ავცდი და მთელი ფული შვედების 4:0-ზე ვლეწე.

— მერე ძმამ ზიდანივით თავი არა გლეწა? დაგსვამდა უეჭველი ერთიანივით.

— ბაკავოი მსაჯები ჩაერივნენ და ძლივს გაგვაშველეს. სახლში კრასნი მაჩვენეს, ოთხდღიანი დისკვალიფიკაცია მაქ. კაროჩე, დღეს მაყუთი უნდა მოვიგო.

— მაიცა, ტო. უეფაში რო გაასაჩივრო?

— კაი, რა! ერთი უეჭველი თამაში მინდა, რო წაგებული დავიბრუნო. დღეს ხორვატიას არ ფიქრობ?

— რა ხორვატია, ტო! ბევრი ადგილი დაგრჩა შუბლზე? ისეთი ინფორმაცია მაქ, რო მაგარი თურქეთი ვარ. იმენა ვიცი.

— რა იცი?

— მოიწი, ჩუმად გეტყვი.

— რას ჩამჩურჩულებ, ძმაო, შტრაფნოის ხო არ ვურტყამთ დამუშავებული კომბინაციით. ისე მითხარი.

— ზნაჩიტ, ესეა: სლავენ ბილიჩს რო საყურე უკეთია, ხო აზრზე ხარ...

— მერე?

— თურქეთის სპეცსლუჟბებმა, ვსმისლე, იქაურმა კაგებემ, იჩალიჩეს და საყურეზე ჟუკი, ვსმისლე, გადამცემი დაუმაგრეს. გუშინ და დღეს ბილიჩმა რაც იბაზრა ტაქტიკაზე, თერიმმა ცვეტში იცის. მაგიდაზე დაწერილი უდევს, კითხულობს და უშაქრო ჩაის ყლურწავს.

აზრზე ხარ, მასტები რა დონეზე მუშაობენ? ესე კეთდება ტაიმბოლები, ტო!..

ᲫᲣᲨᲘ ᲫᲝᲨᲛᲐᲠᲘᲐ

ჩემი ბილეთი: 001 ხორვატია — თურქეთი
შედეგი: ბილიჩი საყურეს დაკარგავს.
სავარაუდო მოგება: ჩაის ყანწი.
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ
რატომ ჩაკეტეს რუსებმა შვედებთან მოგების
შემდეგ მთვრალი ჰიდინკი გასახდელში.

114140 *

ᲣᲔᲤᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝ 2016?



მიშელ პლატინი

ᲣᲔᲤᲐ სერიოზულად განიხილავს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდის საკითხს. ამ საკითხზე მსეჯლობა უკვე დაწყებულია, საბოლოო გადაწყვეტილება კი, წესით, წლის ბოლოსკენ უნდა გახდეს ცნობილი.

თუ ცვლილება მოხდება, ის ძალაში 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე შევა, რომლის მასპინძლობაც ძალიან უნდა საფრანგეთს. ფინალურ ეტაპზე ან ისევ 16 ნაკრები ითამაშებს, ან 20, ანაც — 24.

საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყება. უეფას წევრი 53 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია-ასოციაციების გენერალური მდივნები შეიკრიბებიან და მოსაზრებებს შეაჯერებენ.

„ზაფხულის შემდეგ, როცა საკონსულტაციო პერიოდი დასრულდება, ამ საკითხზე სერიოზულად ვიმსჯელებთ და გადავწყვეტთ, რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილი იქნება ფინალურ ეტაპზე გუნდების რაოდენობის გაზრდა. ყველაფერი ცნობილი წლის მეორე მახევარში გახდება" — აღნიშნა უეფას გენერალურმა მდივანმა დევიდ ტეილორმა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ამჟამინდელი მოდელი პირველად ინგლისის ევრო 1996-ზე გამოჩნდა.

ევროპის პირველი, 1960 წლის ჩემპიონატიდან მოყოლებული 1976 წლის ჩათვლით, ფინალურ ეტაპზე ოთხი ნაკრები თამაშობდა. 1980-დან 1996 წლამდე კი რვა.

ფინალურ ეტაპზე 24-გუნდიანი ფორმატი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან უნდა გვახსოვდეს. ნაკრებები ექვს ჯგუფად ნაწილდებიან, თითოეულ მათგანში ოთხი გუნდია. ჯგუფებში პირველ-მეორეზე გასულნი და ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანი მერვედფინალში გადიან.

რაც შეეხება ოცნაკრებიან ფინალურ ეტაპს, იდეა ასეთია — ოთხ ჯგუფში განაწილებული 5-5 გუნდი და ჩვეულებრივად, პირველ-მეორე ადგილზე გასულები მეოთხედფინალში გააგრძელებენ ტიტულისთვის ბრძოლას.

ᲫᲝᲯᲘ ᲫᲐᲜᲯᲔᲚᲐᲫᲘ

ᲐᲠᲨᲐᲕᲘᲜᲛᲐ ᲒᲝᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲜᲐᲮᲐ

დისკვალიფიკაციამოხდილი ანდრეი არშავინის დებიუტი ევროპის ჩემპიონატზე ძალიან წარმატებული გამოდგა. მან კარგად ითამაშა, გოლი გაიტანა, რუსებს მეოთხედფინალში გასვლაში ძალიან დაეხმარა და შვედებთან მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. რუსეთის ქომაგები „ზენიტის" 27 წლის ვარსკვლავისგან ჰოლანდიასთან მატჩშიც ბევრს ელიან

— რუსეთის ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა, რას იტყვით?

— გამარჯვება ძალიან მახარებს, მაგრამ მატჩის მსვლელობისას იყო მომენტები, რომლებიც არ მესიამოვნა. პირველი გოლის მერე გუნდი თიქოს ცოტა შეშინდა და ზედმეტად მიეჯაჭვა საკუთარ საჯარიმოს, რაც არ იყო საჭირო. ხშირი იყო უკან პასები, მეკარისკენ, ეს არ მომეწონა. მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები სხვებზე მეტად უბრუნებენ ბურთს მეკარეს, რაც კარგი არ არის. თუმცა, როცა მეორე გოლი გაიტანეთ, შვედები ვაბანკზე წავიდნენ და კიდევ გვქონდა რამდენიმე მომენტი.

— რამდენი მომენტი უნდა შექმნას ნაკრებმა, რომ დიდი ანგარიშით მოიგოს? მომენტების გამოუყენებლობა კვლავ პრობლემაა...

— ვფიქრობ, ყველა გოლის ერთ მატჩში გატანა საჭირო არ არის, რამდენიმე სხვებისთვისაც უნდა შემოინახო. სერიოზულად კი, იმედია, ჰოლანდიასთანაც გავიტანთ.

— ევროპის ჩემპიონატის ორი სასტარტო მატჩი გამოტოვეთ, მაგრამ მინდორს უპრობლემოდ დაუბრუნდით და არც თანაგუნდელებთან შეუთამაშებლობის პრობლემა ყოფილა.

— ცხადია, მე ხომ სულ ამ ბიჭებთან ერთად ვთამაშობ...

— როგორ შეაფასებთ უეფას გადაწყვეტილებას, რომელმაც შვედეთთან მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელათ?

— მთელ ნაკრებს ასეთ ჯილდოს არ აძლევენ, ჰოდა ვინმესთვის ხომ უნდა მიეცათ?

— ასეთი თამაშის მერე სხვა თვალით გიყურებენ და რუსეთის შანსებსაც სხვა შეფასებას აძლევენ...

— ჰოლანდიას რომ არ ვხვდებოდეთ, თავს გაცილებით მშვიდად ვიგრძნობდით. ბედმა ამ ტურნირზე ყველაზე ძლიერ ნაკრებს შეგვახვედრა, მაგრამ იმედია, „ნარინჯისფერებს" ღირსეულ წინააღმდეგობას გავუწევთ.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

გიო ახვლედიანის სვეტეული

მუხებში. მუხებში

წინა სვეტში ერთი შეცდომა დავუშვი. ხაია მივეცი. მოკლედ, ოტო რეჰაგელი გამოვაცხადე შვეიცარიის ნაკრების მომავალ მწვრთნელად, ოტმარ ჰიცფელდის ნაცვლად. რაღაცა ამერია წერის დროს. ამაზე იმდენმა ადამიანმა მიმითითა, რომ ვიფიქრე, ალბათ ის კაცი რა დღეში უნდა იყოს, ვისაც წარამარა რაღაც ეშლებამეთქი. მაგრამ, მგონი, ადამიანის ხასიათსაც გააჩნია.

ჰო, ოტო და ოტმარი ამერია. შეღებილი და შეუღებავი თმა ორი მხცოვანი მწვრთნელისა. მაგრამ ეგ არაფერი — ამაზე დიდი შეცდომა არავის ენახოს.

მგონი, კიდევ რაღაც შემეშალა — ჩემპიონატის დასაწყისში დავწერე, რუსებო, ძრწოდეთ შვედთა შიშით-მეთქი. შვედეთი კი თვალსადახელშუა ჩაჟანგდა და იქით გაუხდა საძრწოლი. ბერიკაცებმა ფრთები ვეღარ გაშალეს, დედა, რას დაღოლავდნენ. ამათ კი იფრინეს და მთელი ღამე ინსბრუკში რუსის ქომაგები, სულადრობრივად 12 ათასნი ყვირობდნენ: ვსეხ პარვიომ, ვსეხ!-ო. სანამ ყველას დაფლეთდნენ, წინ ჰოლანდიაა და მათაც თუ ჰოლანდია დაფლითეს, დამთავრებულა ჩემპიონატი და ეგაა. მარკო შენ გეუბნები, სლავენ შენ გაიგონეო, ამაზეა ნათქვამი. თუ თურქები დაგაცლიან, რასაკვირველია.

საინტერესოა, თბილისში თუ არსებობს რუსეთის ნაკრების ფანკლუბი. წინაღამ ყველა აღტაცებული იყო რუსეთის თამაშით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც არ შეიქმნება რუსეთის ფანკლუბი. ეჰ, აბა, ვინ გაივლებს გულში რუსთა ფანკლუბის შექმნას. ისე, კაი დიდი ყოფილა შინაგანი ფანკლუბი. არ მგონია, მხოლოდ ლამაზი ფეხბურთი იყოს ამ საქმეში წამყვანი. ვაააბ, რა რთული ქვეყანაა. არ გამოდის, რომ უბრალოდ ფეხბურთს უყურო და პავლიუჩენკო და არშავინი შეაქო, გულში კიდევ რაღაც უნდა დაემატოს.

კაი, ეს იქით იყოს. ქვეყნად უფრო საინტერესო რამეებიც არსებობს. ვთქვათ, ის, რომ იგივე არშავინი ინგლისურ მედიაში პრემიერლიგის მომავალ ვარსკვლავადაა გამოცხადებული. ოღონდ, აქ საქმე სათუოა. არშავინი კვირაში 60 ათას ფრანკს იღებს „ზენიტშიო“, წერენ ინგლისელები და ამიტომ, პრემიერლიგაში სულ რამდენიმე კლუბი მოიძებნება, ვინც ასეთ ხელფასს გადაიხდისო. „ნიუკასლიც“, „სიტიც“ და „ევერტონიც“ ამათ რიგში ყოფილა, მაგრამ „სიტის“ მთლად რონალდინიო ყოფილა, თუმცო, ბი-ბი-სის ფილ მაკნალტი წერს, ბრაზილიელს თავისი უკვე ნათამაშები აქვს და კვირაში 200-ათასიან ხელფასს ძნელად გაამართლებსო. მე რომ ვიყო ის ტაილანდელი კაცი, არშავინს ავირჩევდი. ნაკლებიც ეყოფოდა და პერსპექტივაც მეტია, მაგრამ მე რომ ვიყო ის ტაილანდელი კაცი, რონალდინიოს ავირჩევდი, იმიტომ, რომ რონალდინიოა. თანაც, რონალდინიო, მგონი, ბექემთან მიდის პენსიაზე.

რომ გამოვტყდე, ეს მესამე ტური ცოტა მოსაწყენად მომეჩვენა. ის გასულია, ეს გასულია. მოდი და უყურე ესპანეთ-საბერძნეთის ჩანაწერს. როგორი საყურებელია. საქმეს მეოთხედფინალები გამოაცოცხლებს. ოღონდ, ოღონდ, ახლა თუ წავიდა ფრე და პენალტები, მე პირადად გადავიწვები ხოლმე და იმ გულიანობით ვეღარ ვუყურებ. კაი კინოა, ჯონ ტერის რომ ფეხი დაუცდა წვიმაში, მაგრამ საპლეიოფო თამაშის პენალტებში გადატანა, მაინც გემოს უკარგავს ნამდვილ თამაშს.

რა ვიცი, თქვენ უკეთ იცით. მე, აგერ, რეჰაგელი და ჰიცფელდი მერევა ერთმანეთში. თანაც, შვედები ისე მონჯღრეულად თამაშობდნენ, რომ ბარე შვიდჯერ გადავრთე მეორე ტაიმში ქართულ მხატვრულ ფილმზე, „მოიტაცეს თამარ-ქალი“, იქ ცხონებული გოგი გელოვანი ამბობდა, მუხებში, მუხებში უნდა ვიქეიფოთ, ქუთეისში...

რიბერიმ როგორ მოიტეხა ფეხი! ყველაზე უფრო ეს დამენანა. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო.

AND WHAT ABOUT GEORGIAN NATIONAL TEAM?

GUYS ARE ŘEADY, BUT WE HAVE NO GEFFER YET.

ვსეხ პარვიომ, ვსეხ!

რა ჯობია, როცა შენი გუნდი ოგებს...

ტაქსინ შინავატრა, ის ტაილანდელი კაცი

euro_fan_2008@yahoo.com



გუს ჰიდინკმა რუსები ჯგუფიდან პირველად გაიყვანა

DIO MOON: სალამი „სარბიელს“!

არშავინმა დიდებულად ითამაშა, ისე, როგორც უმაღლესი კლასის ოსტატს შეშვენის. შვედების ასეთი უფანტაზიობა კი ნამდვილად გასაკვირია. როგორც ჩანს, ლაგერბაკმა თავიდანვე ფრეზე თამაში განიზრახა, მაგრამ ეს ჩემპიონატი ნათლად გვაჩვენებს, რომ შენარჩუნებაზე ბრძოლა ძალიან ჭირს და თითქმის არც გამოდის. ერთადერთი ბებერი მგელის ლარსონის თავუკულმაა გამოსარჩევი.

მგონია, რომ ხორვატია თურქეთს ადვილად დაამარცხებს, მათ ორი თამაში შემოაბრუნეს და ლოგიკურად ამდენი ძალები აღარ უნდა ეყოთ. მით უმეტეს, რომ ხორვატია დაცვაში არ ჩადგება.

რუსებისაგან სურპრიზი გამორიცხული არ არის, თუმცა ენგელაარსა და დე იონგს კონკურენტები არ ყავთ მოწინააღმდეგე გუნდიდან. ვან პერსი მართლაც მაგარ ფორმაშია, ღაფრინავს. ერთი სიტყვით, კარგი მატჩების მოლოდინში ვართ.

საბერძნეთი დაბრუნდეს სახლში და მეფეს კიდევ კარგი ვეზირებიც სჭირდება ქვეყნის მართვისთვის. საბერძნეთში ერთი საშუალო დონის ფეხბურთელი ალბათ კარაგუნისია. ფაბრეგასმა იდეალურად ითამაშა, მისი ორი მოკლე პარაშუტი სახელმძღვანელოში უნდა შევიდეს.

CHEGEVARA: სალამი „სარბიელს“!

ბრავო ჰოლანდიას, ბრავო ვან ბასტენს, ბრავო სინდისს!

სინდისის ჭიები დაღრღნიან ამ ზაფხულს დომენეკს, და ეს ჭიები ფლამინი, მექსესი და სისე იქნებიან. სინდისმა უნდა შეაწუხოს რობერტო როზეტიც, შვეიცარიის სიმპათიური ნაკრები რო მეოთხედფინალის მიღმა დარჩა, მაგრამ თავს ალბათ არცერთი მოიკლავს, ან რას ვერჩი როზეტის, დომენეკს ან თუნდაც კარსონს, როცა ჩვენს ბავშვებს სინთეტიკური საფარი სასწაული გონიათ, ტოპმიოლერი კი აქ ნაშოვნი ფულით ვენახებს ყიდულობს ევროპაში.

P.S. ღმერთმა აშოროს ქართულ ფეხბურთს ტომპიოლერი და უსინდისოები, უმრავლოს სლავენ ბილიჩის მსგავსები და სინდისი!

ღრმა პატივისცემით: Chegevara

A. SHENGELIA: სალამი „სარბიელს“.

ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი. ყველას იმედი აქვს, რომ ან ესპანეთი და ჰოლანდია ან პორტუგალია რაღაც წარმატებას მიაღწევენ. ნამდვილად არაა გამორიცხული, თუმცა ამ შემთხვევაში მე ცოტა პესიმისტი ვიქნები და ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში ეს გუნდები ნავსს ვერ გატეხავენ (მაქსიმუმ ერთ-ერთმა გააღწიოს ფინალამდე). ჯგუფურ ეტაპს ეს გუნდები ყოველთვის რიხიანად და შემართებით გადიან, აი მერე რაღაც ეწყებათ, რაღაც, რაც ჯერ ვერავის აუხსნია. იტალია კი პირიქით, ჯგუფიდან ძლივს, ვაი-ვაგლახით გადის და მერე ფინალამდე მიდის უეჭველი. იტალია უფრო ერთი თამაშის გუნდია, ან 1:0-ს მოიგებს, ან პენლებით გავა, ან კიდე რაღაც მისტიური ძალით, თუნდაც ისეთით, როგორითაც გაძვრა ამ ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდათ.

გაოცებული ვარ თურქების შემართებით, ამ გუნდმა ითამაშა რაღაც ხორვატულ „სტილში“, ანუ ჯიგრიანად, ორი წაგებული თამაში ამოატრიალა, ბევრს ნაღდად არ შეუძლია.

ხორვატებმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საერთოდ არ აინტერესებთ, ვინაა მოწინააღმდეგე, როგორც შეუძლიათ, ისე თამაშობენ და იგებენ კიდეც.

ნეტავ ჩვენც ეგეთი ჯიგრიანი ფეხბურთელები გვყავდეს. კაი მოტივატორი მწვრთნელი გვინდა, ამ ეტაპზე, მე მგონი, ისეთი გვინდა, პატრიოტულ და მოტივატორულ ნოტას რომ აგვიმაღლებს, რა დროს ტაქტიკაა, ჯერ ჯიგრით უნდა ვითამაშოთ. ისე, ამ მხრივ თემურ ქეცბაია კაი იქნებოდა, ყოველთვის ჯიგრულად თამაშობდა და არა მგონია, მწვრთნელობისას მოტივატორობა ვერ გასწიოს.

დავუბრუნდეთ ევრო 2008-ს. ფეხბურთელებს ჯერ დიდად ვერ გამოვარჩევდი, მართლა რამოდენიმეა, რომლებმაც კარგად ითამაშეს. არიენ რობენი, ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი, დავიდ ვილია, ნამდვილად მინდა აღვნიშნო თურქი არდა და ნიჰათი.

ჩემი პროგნოზი: ალბათ ისევ გერმანია გავა, მანქანაა ეს გუნდი, პორტუგალიას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მე მგონი, გერმანია გავა.

ხორვატია — თურქეთი სუპერთამაში იქნება, ორი ყველაზე მებრძოლი გუნდია, ალბათ ხორვატები უფრო ტექნიკურები არიან, მაგრამ აქ გამიჭირდება პროგნოზირება.

ჰოლანდიამ უნდა მოუგოს რუსებს. საერთოდ არაფერი გუნდია რუსეთი, შვედების დამარცხება არაფერს ნიშნავს.

აი, ესპანეთი — იტალიაზე ვერაფერს ვიტყვი, თუმცა მცირე უპირატესობას იტალიელებს მივანიჭებდი, ვინაიდან იციან მაგათმა ერთი თამაშის მოგება.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

III ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)

ჩემპიონატის სტატისტიკა. III ტური

გუნდური სტატისტიკა

დარტყმები

ესპანეთი	58
რუსეთი	53
ჰოლანდია	50

დარტყმა კარში

ესპანეთი	27
პორტუგალია	24
შვეიცარია	23
ჰოლანდია	23

არაზუსტი დარტყმა

რუსეთი	26
საფრანგეთი	24
იტალია	24

პასები (სულ)

ესპანეთი	1639
ჰოლანდია	1554
გერმანია	1520

ზუსტი პასები (%)

ესპანეთი	81,33
ჰოლანდია	79,33
გერმანია	78

გრძელი პასები

ავსტრია	336
ესპანეთი	332
ჰოლანდია	315

ზუსტი გრძელი პასები (%)

ესპანეთი	69
საფრანგეთი	64
ავსტრია	61,33

საშუალო პასები

ესპანეთი	988
ჰოლანდია	987
საფრანგეთი	927

ზუსტი საშუალო პასები (%)

ესპანეთი	86
ჰოლანდია	85
გერმანია	84,67

მოკლე პასები

იტალია	375
გერმანია	349
პორტუგალია	341

ზუსტი მოკლე პასები (%)

ჰოლანდია	83
საბერძნეთი	80,33
ესპანეთი	79,67

ჩაწოდებები

ავსტრია	56
შვედეთი	47
იტალია	46

ზუსტი ჩაწოდებები (%)

რუსეთი	54,33
ჩეხეთი	41,67
პოლონეთი	38,33

კუთხურები

რუსეთი	27
ავსტრია	21
იტალია	20

თამაშგარე

პორტუგალია	15
პოლონეთი	11
იტალია	11
საბერძნეთი	11

ჯარიმები

პოლონეთი	67
შვეიცარია	66
თურქეთი	64

ჯარიმები წინააღმდეგ

შვეიცარია	70
პორტუგალია	64
იტალია	58

ბურთის ფლობა (%)

პორტუგალია	55
ესპანეთი	55
ჰოლანდია	54

ყვითელი ბარათები

თურქეთი	10
ავსტრია	8
შვეიცარია	8
იტალია	8
საბერძნეთი	8

წითელი ბარათები

გერმანია	1
თურქეთი	1
საფრანგეთი	1

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლეადორები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაქინი (შვეიცარია)	3

ასისტენტები

ჰამით ალთინთოფი (თურქეთი)	3
მიროსლავ კლოზე (გერმანია)	2
დირკ კუიტი (ჰოლანდია)	2
ერენ დერდიოქი (შვეიცარია)	2
დანიელ პრანიჩი (ხორვატია)	2

დარტყმები (სულ)

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	18
იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი)	14
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)	13
ადრიან მუტუ (რუმინეთი)	13

დარტყმა კარში

დავიდ ვილია (ესპანეთი)	8
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	8
კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია)	7

არაზუსტი დარტყმა

ლუკა ტონი (იტალია)	9
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	8
იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი)	6
იური ჟირკოვი (რუსეთი)	6

კუთხურები

ნიჰათ ქაპვეჩი (თურქეთი)	15
იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი)	15
ანდრეას ივანშიცი (ავსტრია)	14
კონსტანტინ ზირიანოვი (რუსეთი)	14

თამაშგარე

რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	5
ადრიან მუტუ (რუმინეთი)	5
ალესანდრო დელ პიერო (იტალია)	4
მარიო გომესი (გერმანია)	4
ელდერ პოშტიგა (პორტუგალია)	4
ეუსებიუშ სმოლიარეკი (პოლონეთი)	4
დანიელ ნიკულაე (რუმინეთი)	4

სეივები

იგორ აკინფეევი (რუსეთი)	20
ანდრეას ისაკსონი (შვედეთი)	20
პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)	18

ჯარიმები

ნანი (პორტუგალია)	12
რენე აუფჰაუზერი (ავსტრია)	11
გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)	11

მასზე დაჯარიმდნენ

ვალონ ბეჰრამი (შვეიცარია)	14
გიოქჰან ინლერი (შვეიცარია)	13
გიორგოს კარაგუნისი (საბერძნეთი)	13

პასები (სულ)

ფილიპ ლამი (გერმანია)	203
იური ჟირკოვი (რუსეთი)	184
ტორსტენ ფრინგსი (გერმანია)	183

ზუსტი პასები (%)

ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	93
კრისტოფ მეცელდერი (გერმანია)	92
პერ მერტეზაკერი (გერმანია)	91

გრძელი პასები

პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)	68
ვოლქან დემირელი (თურქეთი)	68
იგორ აკინფეევი (რუსეთი)	67

ზუსტი გრძელი პასები (%)

დორინ გოიანი (რუმინეთი)	88
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	88
ანდრეას ივანშიცი (ავსტრია)	87

საშუალო პასები

ფილიპ ლამი (გერმანია)	128
კლოდ მაკელელე (საფრანგეთი)	124
ტორსტენ ფრინგსი (გერმანია)	122

ზუსტი საშუალო პასები (%)

ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	100
დიეგო ბენალიო (შვეიცარია)	100
იკერ კასილიასი (ესპანეთი)	100
გრეგორი კუპე საფრანგეთი)	100
ანტონის ნიკოპოლიდისი საბერძნეთი)	100

მოკლე პასები

მიკაელ ბალაკი გერმანია)	50
იური ჟირკოვი რუსეთი)	46
ფილიპ ლამი გერმანია)	45

ზუსტი მოკლე პასები (%)

რიკარდუ კარვალიუ პორტუგალია)	100
კარლოს მარჩენა ესპანეთი)	100
პერ მერტეზაკერი გერმანია)	100
კრისტოფ მეცელდერი გერმანია)	100

ჩაწოდებები

ლუდოვიკ მანინი შვეიცარია)	14
გიორგოს კარაგუნისი საბერძნეთი)	13
ჯანლუკა ძამბროტა იტალია)	12

პასები ორ ფეხბურთელს შორის

მაკელელე — ტულალანს საფრანგეთი)	38
მეცელდერი — მერტეზაკერს გერმანია)	32
ლამი — პოდოლსკის გერმანია)	27
მერტეზაკერი — ფრინგსს გერმანია)	27
ფრინგსი — ბალაკს გერმანია)	27
ფრინგსი — ლამს გერმანია)	27

ყვითელი ბარათები

მეჰმეთ აურელიო თურქეთი)	2
ტრანკილიო ბარნეტა შვეიცარია)	2
კრისტიან კივუ რუმინეთი)	2
ჯენარო გატუზო იტალია)	2
დორინ გოიანი რუმინეთი)	2
მარიუშ ლევანდოვსკი პოლონეთი)	2
ანდრეა პირლო იტალია)	2
სებასტიან პრიოდლი ავსტრია)	2
იოჰან ფონლანტენი შვეიცარია)	2
გიორგოს კარაგუნისი საბერძნეთი)	2

წითელი ბარათები

ბასტიან შვაინშტაიგერი გერმანია)	1
ვოლქან დემირელი თურქეთი)	1
ერიკ აბიდალი საფრანგეთი)	1

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ობიექტი



ჯანდაბას, დამალოს სახე ხორვატმა ლუკა მანდრიჩმა ვარჯიშზე, მთავარია, დღეს თურქებს არ დაემალოს მოედანზე. მის თანამემამულეებს კი ვენის ერთ კაფეზე ფარდასავით ჩამოუკიდიათ ხორვატული დროშა: ამაყნიც არიან და მზისგანაც იცავენ თავს.

ხნიერ გერმანელ ფანს, რომელსაც დიდი შენფტი ჰქვია, აი, ასეთი მოტოთი გამოჭენდა ბაზელის ქუჩებში. განსაკუთრებული ყურადღება, გთხოვთ, ბორბლების დიზაინს მიაქციოთ.

რუსთა მესაჭე გუს ჰიდინკს კი გარდამავალი წითელი დროშასავით აღუმართავს წითელი კეპი და ბიჭებს თვისტომებთან საომრად აქეზებს.

ბოლო ფოტოზე კი... ანდრეა პირლო და დანიელე დე როსი რომ იცინიან გასაგებია, მაგრამ რას უშვება ანტონიო კასანო ჯენარო გატუზოს, ამის აღწერა თქვენთვის მოგვინდვია.





მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, გის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი. დღეს

ჩაიზე ვერ დაგპატიჟებთ!

„ერნსტ ჰაპელი“, ვენა

ხორვატია — თურქეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ხორვატია: პლეტიკოსა; ჩორლუკა, რობ. კოვაჩი, შიმუნიჩი, პრანიჩი; სრნა, მოდრიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი; კლასნიჩი, ოლიჩი

მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი

თურქეთი: რუშთუ; ჰამით ალთინთოფი, ემრე გიუნგორი, სერვეთი, ჰაქან ბალთა; მეჰმეთ თოფალი, იიმანი, არდა თურანი, თუნჯაი; ნიჰათი, სუმიჰი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

1996 წლის 11 ივნისს, ევროპის ჩემპიონატზე ინგლისში, ნოტინგემის „სიტი გრაუნდზე“ ასეთი ამბავი მოხდა: ალფაი ოზალანი გორან ვლაოვიჩს მისდევდა, თითქმის 50 მეტრი ჰქონდა, მაგრამ ფეხი არ გამოჰკრა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ვლაოვიჩმა გაიტანა.

ხორვატიამ თურქეთს 1:0 მოუგო ჯგუფის პირველ მატჩში და საბოლოოდ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც გერმანიასთან დამარცხდა.

ხორვატებისთვისაც და თურქებისთვისაც ევრო 96 სადებიუტო იყო, ვლაოვიჩის გოლი კი ისტორიული გახდა, რადგან ხორვატები პირველად თამაშობდნენ დიდ ტურნიზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

მაშინ თურქებმა (გუნდს ფათიჰ თერიმი წვრთნიდა) ჯგუფში სამივე მატჩი ისე წააგეს, რომ გოლი ვერ გაიტანეს.

ჯენტლმენური საქციელისთვის ფიფამ იმ წელს ალფაი ოზალანს სამართლიანი მოთამაშისთვის დაწესებული ჯილდო გადასცა, თურქმა ქომაგებმა კი ალფაი შეაჩვენეს და ზოგი მოკვლითაც კი ემუქრებოდა.

ხორვატია და თურქეთი ევროჩემპიონატის ნახევარფინალში არასოდეს გასულან და საეჭვოა, რომ დღევანდელ მატჩში რომელიმე ფეხბურთელმა ალფაი ოზალანი „გაიმეოროს“. ჩაიზე დაპატიჟება, მობრძანდი და გაიტანე, ალბათ არ იქნება. ორივე გუნდი ნახევარფინალიდან ერთ ნაბიჯშია, იქიდან კი ფინალი ხელის გაწვდენაზე.

გორან ვლაოვიჩმა „როიტერთან“ იტერვიუში განაცხადა: „თურქეთის ნაკრები უცნაურია. თითქოს არანაირი მონახაზი არ გააჩნიათ და მით უფრო რთულია მათ წინააღმდეგ თამაში. შემთხვევით შეიძლება ერთი მატჩი შემოაბრუნო, მაგრამ თურქებმა ეს ზედიზედ ორჯერ მოახერხეს, რაც გუნდის უტეხ სულზე მიუთითებს“.

ხორვატთა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა ჯგუფის ბოლო მატჩში პოლონეთთან, ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელი დაასვენა. დღეს კი, სავარაუდოდ, იმ თერთმეტ კაცს გაიყვანს მოედანზე, რომლებმაც ავსტრიას და გერმანიას მოუგეს.



სლავენ ბილიჩი

ფათიჰ თერიმი

სლავენ ბილიჩს არ აშინებს ის ფაქტი, რომ თურქებმა ორი მატჩი სასწაულებრივ მოიგეს.

„ფათიჰ თერიმს სწრაფი და აგრესიული გუნდი ჰყავს. ნაკრებში უმაღლესი კლასის რამდენიმე ფეხბურთელია და სულაც არ გამკვირვებია მეოთხედფინალში მათი გასვლა — თქვა მწვრთნელმა — პირველივე მატჩიდან ვზვერავდით, თუმც მეტოქის სათითაო მოთამაშეზე ჩემი ფეხბურთელებისთვის დაწვრილებით ინფორმაციის მიწოდება ძნელია.

გაცილებით იოლია მიხაელ ბალაკზე ან ფერნანდო ტორესზე საუბარი. მოკლედ, არც თურქებმა იციან ბევრი რამ ჩვენზე, რადგან მსოფლიო დონის მოთამაშეები არ გვყავს.

ზედიზედ ორი მატჩი კი შემოაბრუნეს, მაგრამ ამის გამო არ ვღელავთ. მე მაინც მირჩევნია, რომ პირველი გოლი ჩვენ გავიტანოთ. გუნდი ბრძოლისთვის მზადაა“.

„ჩემს ოფისში კედელზე დაფაა წარწერით: „შეუძლებელი არაფერია. ეს მხოლოდ დროის საკითხია“ — თქვა ფათიჰ თერიმმა ჩეხებთან გამარჯვების შემდეგ — და კიდევ ერთი საყვარელი გამოთქმა: „განთიადის წინ ძალიან ბნელა“. ამიტომაც ვიყავი მშვიდად შვეიცარიასთნ და ჩეხებთან მატჩებში, მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით. ჩვენ არასოდეს ვნებდებით და ესაა ამ ნაკრების მთავარი იარაღი.

ხორვატიას თორმეტი წლის წინ ვეთმაშეთ ევროპის ჩემპიონატზე და დავმარცხდით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ახლაც კარგი გუნდი ჰყავთ. შესარჩევი ტურნირიც საუცხოოდ ჩაატარეს, აქაც სამი მატჩი მოიგეს, მაგრამ მათი არ გვეშინია“.

თურქთა მცველი საბრი სარიოღლუ ხორვატებთან ბრძოლისთვის ემზადება: „დისკვალიფიცირებული ვოლქანი და მეჰმეთ აურელიო დაგვაკლდება, თუმც ისევე ვიბრძოლებთ ხორვატებთან, როგორც ორ წინა მატჩში. ეს მეოთხედფინალია და წაგებული სახლში მიდის, ამიტომ სრული მობილიზება გვმართებს. ჩეხებს ბოლო თხუთმეტ წუთში სისწრაფით ვაჯობეთ და დღესაც ოგივე ტემპი უნდა შევთავაზოთ მეტოქეს. ამ შემთხვევაში გამარჯვების მეტი შანსი გვექნება“.

მეჰმეთ თოფალი: „ხორვატებიც ჩვენსავით უტეხნი არიან და ამიტომ უმძიმესი მატჩი გველის. ვფიქრობ, რომ შეტევაში მათზე უფრო ტექნიკური ფეხბურთელები გვაყვს და ეს უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ“.

ხორვატი ნახევარმცველი ნიკო კრანჩარი: „სათანადოდ ვაფასებთ მეტოქის ძალას, რადგან მხოლოდ ძლიერ გუნდს შეუძლია ასეთ ტურნირზე ზედიზედ ორი მატჩის შემობრუნება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ როგორც გუნდი, ჩვენ უკეთესები ვართ და კლასით სხვებზე არანაკლები ფეხბურთლები გვყავს.

ეს არაერთხელ დაგვიმტკიცებია და ახლა კიდევ ერთხელ ვეცდებით“.

ჩეხებთან მატჩში იან კოლერთან მოჭიდავე თურქთა მეკარეს ვოლქან დემირელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. მის ადგილის ძელებს შუა 35 წლის რუშთუ რეჩბერი დაიკავებს და 118-ე სანაკრებო მატჩს მიითვლის.

თუ ვინ ითამაშებს გათურქებული ბრაზილიელის მეჰმეთ აურელიოს ნაცვლად, ფათიჰ თერიმი დღეს გადაწყვეტს. აურელიო მეოთხედფინალს „ყვითლების“ გამო დააკლდება.

ხორვატებს დისკვალიფიცირებულები არ ჰყავთ, მაგრამ ივან რაკიტიჩი და დარიო კნეჟევიჩი ტრავმირებულნი არიან. რაკიტიჩი სადღეისოდ გამოკეთებას მოასწრებს, კნეჟევიჩი კი გუნდს დააკლდება. ფორვარდი იგორ ბუდანი ისე დაშავდა, რომ შინ გაამგზავრეს. სლავენ ბილიჩმა თქვა, ნახევარფინალში თუ გავალთ, ბუდანის შემცვლელს გამოვიძახებთო.

ვაჟა ხუციშვილი

ხორვატია – თურქეთი

3	მატჩი	3
1	მოგება	0
2	ფრე	2
0	წაგება	1
4	გოლები	3

გზა მეოთხედფინალამდე

ხორვატია

ავსტრია 0:1 ხორვატია
0:1 მოდრიჩი (43)

ხორვატია 2:1 გერმანია
1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

პოლონეთი 0:1 ხორვატია
0:1 კლასნიჩი (53)

თურქეთი

პორტუგალია 2:0 თურქეთი
1:0 პეპე (61), 2:0 რაულ მეირელეში (90)

შვეიცარია 1:2 თურქეთი
1:0 ჰაქან იაქინი (32), 1:1 სუმიჰი (57), 1:2 არდა თურანი (90)

თურქეთი 3:2 ჩეხეთი
0:1 კოლერი (34), 0:2 პლაშილი (62), 1:2 არდა თურანი (76), 2:2, 3:2 ნიჰათი (87, 89)

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

№25 პორტუგალია 2:3 გერმანია

19 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სტ. იაკობ-პარკი". 39 730 მაყურებელი

0:1 შვაინშტაიგერი (22), 0:2 კლოზე (26), 1:2 ნუნუ გომეში (40), 1:3 ბალაკი (61), 2:3 პოშტიგა (87)



შეცვლა: მოუტინიუ – 6. მეირელეში (31), ნუნუ გომეში – 19. ნანი (67), პეტიტი – 23. პოშტიგა (73), ჰიცლშპერგერი – 18. ბოროვსკი (73), შვაინშტაიგერი – 4. ფრიცი (83), კლოზე – 2. იანსენი (89)

გაფრთხილება: პეტიტი (26), ფრიდრიხი (48), ლამი (49), პეპე (60), პოშტიგა (90)

მსაჯები: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი); სტეფან ვიტბერგი (შვედეთი), ჰენრიკ ანდრენი (შვედეთი)

11	კარიმა	15
8	კუთხური	3
12	კარისკენ დარტყმა	5
6	კარში დარტყმა	5
2	თამაშგარე	2
33,28 წთ	ბურთის ფლობა	25,8 წთ
57%	ბურთის ფლობა	43%

ვინ რა თქვა

იოახიმ ლიოვი: „ძალიან ძნელი ყოფილა, შენი გუნდი რომ თამაშობს, შენ კი ფანჯრიდან უყურებ. კი, იქიდან მოედანი უკეთ ჩანს, ვიდრე სათადარიგოთა სკამიდან, მაგრამ იქიდან ყურება მაინც სულ სხვა რამაა. ავსტრიასთან და ხორვატიასთან კარგად არ გვითამაშია, დღეს კი ყველაფერი სხვანაირად იყო, დაცვიდან შეტევაში ბურთი ძალიან სწრაფად გადაგვქონდა და ამან დიდი საქმე გაგვიკეთა. ვფიქრობ, მოგება დავიმსახურეთ."

კარში და კარისკენ სულ 33-ჯერ დაარტყეს და ამათგან 15 დარტყმა საჯარიმო მოედნის შიგნიდან შესრულდა, 18 კი — საჯარიმოს გარედან. ყველაზე მეტი დარტყმა კი კრიშტიანუ რონალდუსი იყო (7).

მცველებმა ჯამში ხუთი კარში დარტყმული ბურთი დაბლოკეს.

ყველაზე მეტი, 5 კუთხური სიმაომ ჩაწოდა.

თამაშგარეში თითოჯერ ჩარჩნენ ჰიცლშპერგერი, კლოზე, დეკუ და რონალდუ. იენს ლემანმა 4 დარტყმა მოიგერია, რიკარდუმ კი — 2.

ყველაზე მეტჯერ მიხაელ ბალაკი დაჯარიმდა (5), სხვებზე მეტჯერ კი — სამ-სამჯერ — იმავ ბალაკს, შვაინშტაიგერს, სიმაოს და რონალდუს ეუხეშნენ.

სულ 927 პასი გაკეთდა, რომელთა 75 პროცენტი ზუსტი იყო. ყველაზე მეტი პასი დეკუმ გასცა (73).

მიდი და მოვალ

ბალაკმა სკოლარი აბრამოვიჩს გაუგზავნა

მიროსლავ კლოზეს პირველი გოლი ამ ევროზე

მეოთხედფინალში ყველაზე მალე პორტუგალია გავიდა და მეოთხედფინალისტებიდანაც სახლში პირველი წავიდა.

სამწუხაროდ — რადგან წუხელაც კარგი ფეხბურთი ითამაშა, ჩემპიონატს დეკუ და რონალდუ უხდებოდნენ, მაგრამ გერმანიასაც აქვს თავისი ხიბლი და უფრო დასანანი ისაა, რომ ესენი ერთმანეთს მეოთხედფინალში გადაეყარნენ.

ევროპის წინა ჩემპიონ საბერძნეთს ფინალისტიც უკან მიჰყვა.

1 ივლისიდან „ჩელსის" მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის იმედი ჰქონდა, რომ ივნისის ბოლომდე დარჩებოდა ჩემპიონატზე, მაგრამ ჩელსელმა მიხაელ ბალაკმა გეგმა ჩაუშალა და ბრაზილიელ მწვრთნელს ახლა უფრო მეტი დრო ექნება ახალი სამუშაო ადგილის დასათვალიერებლად. ბალაკს კი ცოტა შეაგვიანდება ლონდონში ჩასვლა.

დისკვალიფიცირებული და შუაბანდში გამომწყვდეული იოახიმ ლიოვი გალიაში მოსიარულე ლომს ჰგავდა. გუნდს ვერ ეხმარებოდა, მაგრამ სამაგიეროდ სიგარეტი გაბოლა, რასაც სათადარიგოთა სკამზე ვერ შეძლებდა.

ბასტიან შვაინშტაიგერს კი ეტყობა, ხორვატიასთან გაძევებამ და ავსტრიასთან მატჩის გამოტოვებამ არგო.

გოლი ხომ გაიტანა და, ორიც საგოლე პასი მიითვალა.

აკი ამბობდა სკოლარი, გერმანელების სიმაღლე მადარდებს, ჰაერში არ გვაჯობონო და ეგრეც მოხდა.

მიროსლავ კლოზემ ტურნირზე პირველი გოლი თავით შეაგდო და ბალაკიც არანაკლებ თავიანი ბიჭია. დარტყმამდე ხელით კი მოიშორა თანაკლუბელი ფერეირა, მაგრამ მსაჯმა ან ვერ დაინახა, ან წაუყრუა.

და რაკი ნახევარფინალში გერმანია გავიდა, ამ გუნდის ტაქტიკაზეც ვთქვათ.

ლიოვმა მარიო გომესი გადაკარგა, რომელმაც სამ მატჩში შანსი ვერ გამოიყენა. მიროსლავ კლოზე მარტო დატოვა და ფლანგებიდან პოდოლსკი და შვაინშტაიგერი დაახმარა. სამივემ გულიანად იშრომა და მწვრთნელს სასაყვედურო ალბათ არაფერი ექნება.

ნახევარდაცვის ცენტრიც შეცვლილი იყო, სადაც ორი საყდენის (ჰიცლშპერგერი-როლფსი) წინ ბალაკი თამაშობდა, ხოლო მარჯვენა მცველად ფრიცის ნაცვლად ფრიდრიხმა ითამაშა.

სწორედ ფრიდრიხი და მერტესაკერი გამოიყურებოდნენ ყველაზე სუსტად და რონალდუმაც იმ ფლანგზე გაილაღა. ორივე გოლი გერმანელების კარში მათი ფლანგიდან გავიდა.

ახლა გერმანია ელოდება: თურქეთი თუ ხორვატია?

ვაჟა ხუციშვილი

ბომბარდირები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	4
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	3
ჰაქან იაკინი (შვეიცარია)	3

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge